



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვატკიცებ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსი
თორნიკე შერმადინი

6 ნოემბერი 2020 წელი

N 34/36

ეგზ.: N 1

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის სამინისტრო

2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი	5
	2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი	14
	3. სხვა გარემოებები	15
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	19
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები და ახსნა-განმარტებითი შენიშვნები	22
	კონსოლიდირებული ერთეულები	46
	საკონტაქტო ინფორმაცია	47

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

გარემოს სააგენტო – სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო;

დაცული ტერიტორიების სააგენტო – სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო;

ლაბორატორია – სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორია;

სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი – სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი;

სამინისტრო – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი – საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი;

სატყეო სააგენტო – სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო;

სურსათის სააგენტო – სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო;

სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო – ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო;

დონორების პროექტი – ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB), სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (GEF, IFAD);

კორპორაცია – სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მთავარი ამოცანაა გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სფეროების მართვა და ხელშეწყობა. სამინისტროს ძირითადი მიმართულებებია: ბუნებრივი რესურსების მართვა და სახელმწიფო კონტროლი, გარემოს დაბინძურების მონიტორინგი, აგრარული რეფორმები, სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სურსათის წარმოებაში საუკეთესო პრაქტიკის გავრცელების ხელშეწყობა და სხვ.

სამინისტროს მმართველობაშია 11 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ), ერთი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი ა(ა)იპ და ერთი საქვეყნურო დაწესებულება.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2019 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობის %	საკასო
სულ სამინისტრო	340,100,000	347,890,000	2.3%	358,044,816
მომუშავეთა რიცხოვნობა	3,467			
ხარჯები	322,094,000	325,122,310	0.9%	334,220,622
მ.შ. შრომის	42,842,000	41,894,500	-2.2%	42,673,081
ანაზღაურება				
არაფინანსური	18,006,000	22,767,690	26.4% ¹	23,824,194
აქტივების ზრდა				
ფინანსური	-	-		
აქტივების ზრდა				

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების² გადანაწილების შესახებ

საბალანსო ერთეულის დასახელება	358,044,816	100%
ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო	117,563,823	32.8%
სამინისტროს აპარატი	99,158,240	27.7%
სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო	58,584,419	16.4%
სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი	17,831,628	5.0%
სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო	16,868,828	4.7%
სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო	11,117,303	3.1%
სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო	11,028,880	3.1%
სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორია	7,907,093	2.2%
სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო-კვლევითი ცენტრი	5,670,240	1.6%
სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი	5,120,047	1.4%
სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო	2,938,988	0.8%
სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო	2,095,566	0.6%
სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტო	1,117,024	0.3%
სსიპ – ბირთვული და რადიაციული ცენტრი	1,042,737	0.3%

¹ ზრდა ძირითადად გამოწვეულია „ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების“ გაუმჯობესების ფარგლებში შპს „საქართველოს მელიორაციის“ დამატებითი მოთხოვნით და ქვეპროგრამა „სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების ინფრასტრუქტურის განვითარების“ ფარგლებში სოფელ ზერბუკში მდებარე შენობის შიდა ქსელის მოწყობისთვის გამოყოფილი დამატებითი თანხებით.

² ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ის მიხედვით, შემოსავლებმა, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, შეადგინა 50,005 ათასი ლარი. აქედან, 14,814 ათასი ლარი გრანტის სახით მიღებული შემოსავალია, ხოლო 35,191 ათასი ლარი შეადგენს სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი ორგანიზაციების საკუთარ შემოსავლებს (მ.შ. საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია - 24,833 ათასი ლარი).

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის დასკვნა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხელმძღვანელობას

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს და მის კონტროლს დაქვემდებარებული ერთეულების³ (ერთად – „ჯგუფის“) კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებულ ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს⁴ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის, ასევე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე თანდართულ შენიშვნებს, მათ შორის, ყველა მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მოკლე მიმოხილვას.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლის აბზაცში აღწერილი საკითხების მნიშვნელობის გამო, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით, მომზადებული არ არის საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ბუღალტრული აღრიცხვის წარმოებისა და ფინანსური ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენის სათანადო საფუძვლების⁵ შესაბამისად.

³ იხ. დანართი „კონსოლიდირებული ერთეულები“.

⁴ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანების დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

⁵ საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძველი

საკითხი 1.1 გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ფინანსურ ანგარიშგებაში „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 945,474,000 ლარი, რაც წარმოადგენს სხვადასხვა პერიოდში შპს „საქართველოს მელიორაციაში“ განხორციელებულ შენატანებს.⁶

შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიერ სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის წარმოდგენილი დასტურის წერილის თანახმად,⁷ კომპანიის კაპიტალში სამინისტროდან განხორციელებული შენატანები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 899,822,793 ლარს, რაც 45,651,207 ლარით ნაკლებია აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილ თანხასთან შედარებით.⁸

ზემოხსენებული სხვაობა ძირითადად გამოწვეულია სამინისტროს აპარატის მიერ აღნიშნული ოპერაციების, ნაცვლად დარიცხვის მეთოდისა, საკასო მეთოდით აღრიცხვის გამო.

შესაბამისად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას სამინისტროს აპარატის „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლის სისწორეზე.

ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს 17,211,117 ლარი, რაც წარმოადგენს 2012-2018 წლებში სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციასა“⁹ და 2012-2014 წლებში შპს „გორის სასათბურე მეურნეობაში“ განხორციელებულ შენატანებს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კორპორაციის აქტივები შედგება რამდენიმე სამეურნეო ნივთისა და ორ კომპანიაში არსებული წილისაგან, კერძოდ:

- 100%-იანი წილი – შპს „აბაშის მარცვლეული კულტურის შესანახ ცენტრში“;¹⁰
- 30%-იანი წილი – შპს „საქართველო-ბელორუსიის სავაჭრო-ეკონომიკურ სააგენტოში“.¹¹

კორპორაციის განმარტებით, ისინი არ ფლობენ ინფორმაციას შპს „აბაშის მარცვლეული კულტურის შესანახი ცენტრისა“ და შპს „საქართველო-ბელორუსიის სავაჭრო-ეკონომიკური სააგენტოს“ ფინანსური მონაცემების ან მათ საკუთრებაში არსებული აქტივების შესახებ.

⁶ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანებების საფუძველზე.

⁷ წერილი N გ-2823, 27/08/2020.

⁸ სამინისტროს განმარტებით, სხვაობა გამოწვეულია აპარატსა და შპს „საქართველოს მელიორაციაში“ არსებული განსხვავებული სააღრიცხვო მიდგომებით.

⁹ ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაციის“ 100% წილი გადაეცა 2011 წელს.

¹⁰ ს/ნ 404928548.

¹¹ ს/ნ 404865259, მეწილეები: სს „საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია“ (30%), უცხოური საწარმო დახურული სს - ხორცისა და რძის კომპანია, ბელარუსი (16%), უცხოური საწარმო რესპუბლიკური უნიტარული სავაჭრო-სამრეწველო საწარმო სავაჭრო სახლი „ბელგოსპიჩეპრომ“, ბელარუსი (17%), უცხოური საწარმო მანქანათმშენებლობის სახელმწიფო სამეწარმეო გაერთიანება „ბელაგრომაშ“, ბელარუსი (17%), შპს „მექანიზატორი“ (10%), სახელმწიფო (10%).

აღსანიშნავია, რომ საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით,¹² შპს „გორის სასათბურე მეურნეობაზე“ 2016 წლიდან მიმდინარეობს გადახდისუუნარობის (გაკოტრების) საქმისწარმოება.¹³

2015 წლის სხდომის ოქმის¹⁴ თანახმად, შპს „გორის სასათბურე მეურნეობის“ საკუთრებაში არსებული 4,105,690 ლარის ღირებულების აქტივები უსასყიდლოდ გადაეცა სახელმწიფოს, ხოლო კომპანიის დირექტორის განმარტებით, აუდიტის ანგარიშის თარიღისათვის შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“ ფლობს მხოლოდ რამდენიმე სამეურნეო/საოფისე ინვენტარს.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მივიღეთ რწმუნება რამდენად აკმაყოფილებს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 17,211,117 ლარი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს და რამდენად შეესაბამება მის რეალურ ღირებულებას. ასევე, ვერ დავრწმუნდით ინვესტირებული თანხით შექმნილი აქტივების არსებობაში.¹⁵

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „აქციები და სხვა კაპიტალის“ მუხლში აღრიცხული თანხების სისწორესა და სიზუსტეზე.

საკითხი 1.2 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მოიცავს 18,644,737 ლარის ისეთ დებიტორულ დავალიანებებს, რომლებიც წარმოქმნილია 2004-2009 წლებში მთავრობის განკარგულებების საფუძველზე სხვადასხვა იურიდიულ პირზე გაცემული სესხების შედეგად. მათ შორის, 12,570,110 ლარი წარმოადგენს შპს „საქართველოს მელიორაციის“¹⁶ მიმართ არსებულ სასესხო მოთხოვნას, რომელიც გაიცა სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით.

საქართველოს მთავრობის 2010 წლის განკარგულებებით განხორციელდა სესხების რესტრუქტურიზაცია 5 წლის ვადით. 2015 წლიდან სესხებზე პროცენტისა და პირგასამტეხლოს დარიცხვას აწარმოებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

2019 წელს აღნიშნული სესხების ნაწილი 8,332,730 ლარის ოდენობით გადაეცა ფინანსთა სამინისტროს,¹⁷ მისივე მოთხოვნის¹⁸ საფუძველზე. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შპს „საქართველოს მელიორაციისგან“ „მისაღები სესხის ნაშთი“ შემცირდა 5,437,860 ლარამდე.

შპს „საქართველოს მელიორაცია“ შექმნილია 2012 წელს ცხრილ N3-ში ჩამოთვლილი ოთხი კომპანიის ბაზაზე.

¹² ბოლო ცვლილების თარიღი: 06/05/2016.

¹³ გაკოტრების მმართველად დანიშნულია სსიპ - აღსრულების ეროვნული ბიურო.

¹⁴ ა(ა)იპ – სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს გამგეობის N53 სხდომის ოქმი.

¹⁵ სააგენტოს განმარტებით, 2020 წელს ისინი შეისყიდიან აუდიტორულ მომსახურებას საწარმოების აქტივების ღირებულების შეფასების მიზნით.

¹⁶ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 100%-იანი წილის მფლობელია სახელმწიფო.

¹⁷ სესხის ძირითადი თანხები დარიცხულ პროცენტთან და პირგასამტეხლოსთან ერთად.

¹⁸ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საბაზინო სამსახურის წერილი N18/31227, 12/03/2020.

ცხრილი N3. სამელიორაციო სისტემების ფუნქციონირების ხელშეწყობის მიზნით გაცემული სესხების ცვლილება 2018-2019 წლებში

ორგანიზაციის დასახელება	სესხის ნაშთი 31/12/2018	2019 წელს დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო	ფინანსთა სამინისტროსთვის გადაცემული სესხები	სესხის ნაშთი 31/12/2019
შპს „კოლხეთი-მ“	2,745,938	224,482	2,536,033	434,387
შპს „მტკვარი-მ“	2,874,444	306,500	766,075	2,414,869
შპს „ალაზანი-მ“	3,209,162	298,296	2,598,289	909,169
შპს „სიონი-მ“	3,740,566	371,202	2,432,333	1,679,435
სულ:	12,570,110	1,200,480	8,332,730	5,437,860

ზემოაღნიშნული სესხების დაფარვის ალბათობა მცირეა უარყოფითი ფინანსური შედეგის მქონე კომპანიის¹⁹ მხრიდან. აღსანიშნავია, რომ შპს „საქართველოს მელიორაციას“ თითქმის ყოველწლიურად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მთავრობის განკარგულებით გამოეყოფა დაახლოებით 15-16 მლნ ლარის სუბსიდია მიმდინარე საქმიანობისთვის.

ამასთანავე, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „საქართველოს მელიორაციის“ აუდიტირებულ ანგარიშგებაში²⁰ არ ფიქსირდება გადასახდელი სესხები გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ. სესხის გამცემად მითითებულია ფინანსთა სამინისტრო.

შესაბამისად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რამდენად აკმაყოფილებს 5,437,860 ლარი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შპს „საქართველოს მელიორაციის“ მიმართ არსებული 5,437,860 ლარის მოთხოვნების გარდა, სამინისტროს ბალანსზე აღრიცხულია 3,494,372 ლარის დებიტორული დავალიანება, რომლის შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია ქვემოთ, ცხრილ N4-ში:

ცხრილი N4. სხვადასხვა პროექტზე გაცემული სესხების ნაშთები 2018-2019 წლებში

ორგანიზაციის დასახელება	წარმოშობის წელი	სულ 2018	სულ 2019
საქვ. დაწეს. – სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შედეგად გადმოსული სხვადასხვა დებიტორული დავალიანება	2006	2,580,255	-
შპს „მარცვალი“	2006	1,576,750	1,576,750
შპს „ბეგი კომპანი“	2006	1,440,338	1,440,338
შპს „ღვარები“	2006	272,334	272,334
შპს „ერედვი“	2004	70,000	70,000
ფ/პ ზვიად კობერიძე	2004	70,000	70,000
სს „სოფლტექსერვისი“	2004	36,878	36,878
შპს „გორა-2003“	2004	28,072	28,072
სულ:		6,074,627	3,494,372

2019 წელს აპარატმა ჩაატარა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.²¹ რის საფუძველზეც ჩამოწერა 2,580,255 ლარის მოთხოვნა.

¹⁹ შპს „საქართველოს მელიორაციის“ 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აუდიტირებული ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, კომპანიას 2018 წლის განმავლობაში უფიქსირდება 39 მილიონის ზარალი, ხოლო აკუმულირებული ზარალი, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, შეადგენს დაახლოებით 850 მილიონს (დამოუკიდებელი აუდიტორის, შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯის“ დასკვნა, 23/09/2019).

²⁰ დამოუკიდებელი აუდიტორის, შპს „ბეიკერ ტილი ჯორჯის“ დასკვნა 2018 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე; 23/09/2019.

²¹ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 03 ოქტომბრის N2-952 ბრძანებით შექმნილი საინვენტარიზაციო კომისიის აქტი, 30/12/2019.

კერძოდ, სამელიორაციო სისტემის მართვის დეპარტამენტის ლიკვიდაციის შედეგად გადმოსული სხვადასხვა დებიტორული დავალიანება.

დარჩენილი 3,494,372 ლარი წარმოადგენს 2006 წელს ამერიკული ხორბლის რეალიზაციის შედეგად ამონაგები თანხიდან მარცვლეულის მოსავლის მოყვანის პროექტის²² ფარგლებში და 2004 წელს სერვისცენტრების გახსნის მიზნით, სხვადასხვა კომპანიაზე²³ გაცემულ სესხებს. სამინისტროს იურიდიული სამსახურის მიერ მოწოდებული ინფორმაციის მიხედვით, დაუფარავ სესხებზე სასამართლო განჩინების საფუძველზე, 2010 წლიდან ძირითადად უშედეგოდ მიმდინარეობს სააღსრულებო წარმოების პროცესები.

მიუხედავად იმისა, რომ 2019 წელს სამინისტროს აპარატმა შეამცირა უიმედო სასესხო მოთხოვნების ნაშთი 9,712,505 ლარით, მის ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კვლავ რჩება 8,932,232 ლარის ისეთი დებიტორული დავალიანებები, რომელთა ამოღების ალბათობა მცირეა.

სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტოს 2019 წლის 31 დეკემბრით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული აქვს 2007 წლიდან წარმოშობილი ვადაგადაცილებული სასესხო მოთხოვნები²⁴ 2,292,943 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს შპს „ქართული ღვინის იმპერიას“ და შპს „ალაზნის ველი და კომპანიაზე“ გაცემულ სესხებს.

შპს „ალაზნის ველი და კომპანია“ ანგარიშგების თარიღისათვის სესხი არ გადაუხდია, ხოლო შპს „ქართულმა ღვინის იმპერიამ“ დავალიანება ნაწილობრივ დაფარა. ღვინის ეროვნული სააგენტო არ ფლობს ინფორმაციას, მიმდინარეობს თუ არა აღნიშნულ სესხებთან დაკავშირებით სამართლებრივი დავა, რადგან სააგენტოს განმარტებით, მათ ადმინისტრირებას ახორციელებს საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

აღსანიშნავია, რომ შპს „ქართული ღვინის იმპერიის“ და შპს „ალაზნის ველი და კომპანის“ საჯარო რეესტრის ამონაწერებში არ ფიქსირდება მოვალეთა რეესტრი.

შესაბამისად, ღვინის ეროვნული სააგენტოს ბალანსზე 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული 2,292,943 ლარის სასესხო მოთხოვნების ამოღების ალბათობა მცირეა.

ამდენად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რამდენად აკმაყოფილებს 2019 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 11,225,175 ლარი აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საკითხი 1.3 მოკლევადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები

ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს, ფინანსური ანგარიშგების „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ მუხლში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხული აქვს სს „აკურაში“ არსებული წილი – 41,504,000 ლარის ღირებულებით.

აღნიშნული წილის გადაცემის ხელშეკრულების²⁵ და საქართველოს მთავრობის განკარგულების²⁶ საფუძველზე, სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს მართვის უფლებით გადაეცა სს „აკურას“ წილის 99.9%, რაც თანხობრივად შეადგენს 57,261,311 ლარს.

²² საქართველოს მთავრობის 2006 წლის 30 ივნისის N129 დადგენილების საფუძველზე. სესხები გაცემულია შემდეგ კომპანიებზე: შპს „მარცვალი“, შპს „ბეგი კომპანი“ და შპს „ღვარები“.

²³ შპს „ერედვი“, ფ/პ ზვიად კობერიძე, შპს „გორა-2003“, სს „სოფლტექსერვისი“.

²⁴ სახელმწიფო მიზნობრივი პროგრამის: „ღვინის ქარხნების ფინანსური მხარდაჭერის ღონისძიებების“ დასაფინანსებლად გაცემული სესხების ძირითადი, დარიცხული პროცენტი და პირგასამტეხლო.

²⁵ 2018 წლის 26 ოქტომბერს, ქონების ეროვნულ სააგენტოსა და ა(ა)იპ – პროექტების მართვის სააგენტოს (იგივე – ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო) შორის გაფორმებული ხელშეკრულება და ხელშეკრულების 2019 წლის 3 ოქტომბრის ცვლილება.

²⁶ 2018 წლის 23 ოქტომბრის N1943 განკარგულება და 2019 წლის 3 ოქტომბრის განკარგულება N2117.

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივებისა და მოთხოვნების“ მუხლი შემცირებულია 15,757,311 ლარით.

საკითხი 1.4 სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები

სსიპ - ღვინის ეროვნული სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია „სხვა გრძელვადიანი მოთხოვნები“ 471,200 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოშობილია სხვადასხვა ფიზიკურ პირსა და კომპანიაზე, 2004 წელს ვაზის უნიკალური ჯიშების გაშენებისთვის წინასწარ გადახდილი თანხების საფუძველზე.

2020 წლის 3 ივლისის მოხსენებით ბარათში²⁷ მითითებულია შესაბამისი კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების სტატუსი. ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემული ინფორმაცია არ არის შესაბამისობაში აღნიშნულ მოხსენებით ბარათთან. კერძოდ, „სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების“ მუხლში ასახულია 227,760 ლარის ისეთი მოთხოვნები, რომლებზეც 2006-2018 წლებში გაფორმებულია შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტები. ხოლო 181,988 ლარის მოთხოვნებზე, სააგენტოში პირველადი დოკუმენტაცია არ იძებნება.

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგების „სხვა გრძელვადიანი მოთხოვნების“ მუხლი გაზრდილია 227,760 ლარით, ხოლო 181,988 ლარის მოთხოვნების არსებობაზე ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები.

საკითხი 1.5 მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით

სამინისტროს ცენტრალური აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ 562,445 ლარის ოდენობით. რომელიც ძირითადად წარმოადგენს 2012-2013 წლებში, ინვენტარიზაციის შედეგად გამოვლენილ დანაკლისებს და აღმოჩენისთანავე გადაეცა პროკურატურას გამოსამიებლად.

აღსანიშნავია, რომ დანაკლისების მოთხოვნა რომელიმე ანგარიშვალდებული პირის მიმართ არ ფიქსირდება და აუდიტის ანგარიშის თარიღამდე სამინისტროს საქმის მიმდინარეობასთან დაკავშირებით კომუნიკაცია პროკურატურასთან არ ჰქონია.

აღრიცხვის ინსტრუქციიდან გამომდინარე,²⁸ 562,445 ლარის დანაკლისი აკმაყოფილებს პირობით აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში 562,445 ლარით გაზრდილია „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ მუხლი.

საკითხი 1.6 ძირითადი აქტივები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „ძირითადი აქტივების“ მუხლში გამოვლინდა შემდეგი უზუსტობები:

- სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტო, როგორც სახელმწიფო ტყის ფონდის მართვაზე უფლებამოსილი ორგანო, ფონდის ნაწილს სარგებლობის უფლებით (იჯარით) გადასცემს ფიჭური კავშირგაბმულობის კომპანიებს.²⁹ აუდიტის პერიოდისთვის სააგენტოს გაფორმებული აქვს 205 ერთეული ხელშეკრულება და ჯამურად სარგებლობით გადაცემულია 27,545 კვ.მ მიწის ფართობი, საიდან მიღებულმა შემოსავალმა 2019 წელს შეადგინა 1,801,755 ლარი.

²⁷ სააგენტოს იურიდიული სამმართველოს უფროსის N1012-03 მოხსენებითი ბარათი.

²⁸ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 131, პუნქტი „ვ“.

²⁹ „მაგთიკომი“, „ჯეოსელი“, „მობიტელი“, „კავკასუს ონლაინი“.

სარგებლობის უფლებით გადაცემული მიწის ნაკვეთები იდენტიფიცირებულია, დარეგისტრირებულია საჯარო რეესტრში და შესაძლებელია მათი საიმედოდ შეფასება. მიუხედავად ამისა, აღნიშნული მიწის ნაკვეთები სააგენტოს არ აქვს ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში, რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.³⁰

- სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე „დაუმთავრებელი მშენებლობის“ მუხლში ასახულია 1,816,078 ლარის აქტივები, რომლებზეც სააგენტომ ვერ წარმოადგინა შესაბამისი პირველადი დოკუმენტაცია.³¹ აღნიშნული აქტივების იდენტიფიცირებისათვის 2019 წელს სააგენტოში შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია.³² 2019 წელს განხორციელდა ამ აქტივებიდან 231,972 ლარის აქტივების იდენტიფიცირება. ინვენტარიზაციის პროცესი დღემდე არ დასრულებულა. დანარჩენ 1,584,106 ლარის აქტივებზე სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია მათი ადგილმდებარეობის შესახებ. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 1,584,106 ლარით.
- სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში „ძირითადი აქტივების“ მუხლში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 181,394 ლარის ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებზეც საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით მოსარგებლედ არ ფიქსირდება სამინისტრო. გარდა ამისა, აპარატის ბალანსზე ასახულია 195,831 ლარის ისეთი შენობა-ნაგებობები, რომლებითაც სარგებლობს ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო. თუმცა, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საჯარო რეესტრის მონაცემებში არ არის შეცვლილი ძირითადი საშუალებების მოსარგებლე და თანხა არ არის ჩამოწერილი ბალანსიდან. აღსანიშნავია, რომ 2020 წელს სამინისტროს აპარატმა გამოასწორა აღნიშნული ხარვეზები.
- ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში არ აქვს ასახული უზუფრუქტით გადმოცემული 15 ერთეული არასაცხოვრებელი ფართი, სულ 727.89 კვ.მ.
- სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში გაორმაგებულად არის ასახული „გფა კონსალტინგ გრუპის“ მიერ 2018 წელს გადაცემული ავტომობილების ღირებულება,³³ რის გამოც 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ის „ძირითადი აქტივების“ მუხლი გაზრდილია 261,149 ლარით და ფორმა N2-ის „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი გაზრდილია 32,938 ლარით.

ასევე, დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 294,572 ლარის ძირითადი აქტივების მიღების დამადასტურებელი პირველადი დოკუმენტაცია სააგენტოს მიერ ვერ იქნა წარმოდგენილი. 2,719,598 ლარის ძირითად აქტივებზე კი წარმოდგენილ პირველად დოკუმენტაციაში მითითებულ ღირებულებებსა და ძირითადი საშუალებების რეესტრში ასახულ ისტორიულ ღირებულებებს შორის გამოვლინდა 230,208 ლარის სხვაობა. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ მივიღეთ საკმარისი მტკიცებულებები 524,780 ლარის ძირითადი აქტივების ღირებულების სისწორეზე.

ამდენად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი აქტივების მუხლი გაზრდილია 2,747,260

³⁰ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 3, პუნქტი „გ“.

³¹ ბალანსზე ირიცხება 2006 წლიდან.

³² სსიპ - გარემოს ეროვნული სააგენტოს უფროსის 2019 წლის 13 თებერვლის ბრძანება N16/ს საინვენტარიზაციო კომისიის შექმნის შესახებ;

³³ „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში – საქართველოს“ ფარგლებში ბიუჯეტის კანონით გამოყოფილი გრანტით მიღებული ავტომობილები.

ლარით, ხოლო სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს და ა(ა)იპ - სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ფინანსური ანგარიშგების ძირითადი აქტივების მუხლის სისრულეზე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები.

საკითხი 1.7 საგადასახადო ვალდებულებები

სამინისტროს ცენტრალურ აპარატს ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული არ აქვს საგადასახადო დავალიანება 9,166,643 ლარის ოდენობით.

აღნიშნული თანხის ძირითადი ნაწილი წარმოშობილია 1997-1998 წლებში და წარმოადგენს ყოფილი საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვისა და ყოფილი სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვალდებულებებს, რომელთა სამართალმემკვიდრე 2017 წლიდან არის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო.

2018 წლის ივნისში სამინისტროს აპარატმა მიმართა შემოსავლების სამსახურს აღნიშნული დავალიანების ჩამოწერის თაობაზე, თუმცა საგადასახადო ორგანოს მხრიდან რეაგირება არ მომხდარა და 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აპარატის საგადასახადო ბარათზე ისევ ფიქსირდება 9,166,643 ლარის დავალიანება.

სსიპ - დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით საგადასახადო ვალდებულების ნაშთი შეადგენს 153,891 ლარს, ხოლო შემოსავლების სამსახურის შედარების აქტის მიხედვით ორგანიზაციას უფიქსირდება 46,519 ლარის საგადასახადო აქტივი. აქედან გამომდინარე, საგადასახადო ვალდებულებების მუხლი გაზრდილია, ხოლო აქტივის მუხლი შემცირებულია შესაბამისად, 153,891 და 46,519 ლარით.

ამდენად, 2019 წლის 31 დეკემბრით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „სხვა მოკლევადიანი ვალდებულებების“ მუხლი შემცირებულია 9,012,752 ლარით.

საკითხი 1.8 გრანტები (შემოსავლები)

სსიპ - სურსათის ეროვნულ სააგენტოს 2019 წელს გრანტის სახით მიღებულ შემოსავლებში აღრიცხული აქვს საერთაშორისო ორგანიზაცია USAID/Georgia-სგან 2018 წელს უსასყიდლოდ გადაცემული ძირითადი საშუალებები, რომელთა ჯამური ღირებულება შეადგენს 489,977 ლარს.

აღნიშნულით გასწორდა 2018 წლის შეცდომა, კერძოდ, აღიარებულ იქნა გამოტოვებული შემოსავალი აღრიცხვის ინსტრუქციის შესაბამისად,³⁴ აღნიშნული წარმოადგენს წინა პერიოდის ანგარიშგებაში დაშვებული შეცდომის კორექტირებას, შესაბამისად, ექვემდებარებოდა „საწყისი ნაშთისა და კაპიტალის“ მუხლის კორექტირებას, ნაცვლად შემოსავლად აღიარებისა.

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გრანტის სახით მიღებული შემოსავლები გაზრდილია 489,977 ლარით.

საკითხი 1.9 გრანტები (ხარჯები)

სამინისტროს აპარატის 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში გრანტის ხარჯად აღიარებული აქვს 323,199 ლარი, რომელიც წარმოადგენს „გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის“ ორგანიზაციის საწევრო გადასახადს. აღნიშნული თანხა ორგანიზაციის მიმართ არსებული 2018 წლის დავალიანებაა³⁵ და არ არის 2019 წლის ხარჯი.

³⁴ მუხლი 14, პუნქტი 10.

³⁵ გაეროს სურსათისა და სოფლის მეურნეობის ორგანიზაციის (FAO) 2018 წლის 26 ნოემბრის წერილი (სამინისტროში რეგისტრაციის ნომერი: N17020).

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში 323,199 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი გრანტის ხარჯის მუხლი.

საკითხი 1.10 სხვა ხარჯები

დონორების პროექტის ფინანსური ანგარიშგების „სხვა ხარჯების“ მუხლში აღრიცხულია შპს „საქართველოს მელიორაციისთვის“ საინვესტიციო პროექტების დაფინანსების ფარგლებში 2019 წელს გაწეული ხარჯი 408,848 ლარის ოდენობით.

გამომდინარე იქიდან, რომ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის ბრძანების³⁶ საფუძველზე აღნიშნული თანხით გაზრდილია შპს „საქართველოს მელიორაციის“ კაპიტალი, 408,848 ლარი აკმაყოფილებს „აქციებისა და სხვა კაპიტალის“ მუხლში აღიარების კრიტერიუმებს.

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების „სხვა ხარჯების“ მუხლი გაზრდილია, ხოლო „აქციებისა და სხვა კაპიტალის“ მუხლი შემცირებულია 408,848 ლარით.

საკითხი 1.11 ბუღალტრული აღრიცხვა

სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოში ბუღალტრული მონაცემები არ ასახავს სრულყოფილ ინფორმაციას საბალანსო ანგარიშგების ნაშთებისა და წლის განმავლობაში არსებული ოპერაციების შესახებ.

აღსანიშნავია, რომ სააგენტოში 2019 წლის მეორე ნახევრიდან დაინერგა სპეციალიზებული ბუღალტრული აღრიცხვის სისტემა. ორგანიზაციის განმარტებით, სამუშაოს მოცულობიდან გამომდინარე, პროგრამის სრულყოფილად გამართვა ვერ მოხერხდა. შესაბამისად, უმეტეს შემთხვევაში საბალანსო მუხლების ნაშთები და ბრუნვები არ შეესაბამება ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ მონაცემებს.

ამდენად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული მონაცემების სისრულესა და სიზუსტეზე.

საკითხი 1.12 შეზღუდვა აუდიტორულ პროცედურებში

ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტომ ვერ მოგვაწოდა 2020 წლის პირველი კვარტლის გატარებების ბაზა. აქედან გამომდინარე, აუდიტის ჯგუფმა ვერ ჩაატარა დაგეგმილი დროში გამიჯვნის აუდიტორული პროცედურები სრულყოფილად.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ რწმუნება, რამდენად სრულად არის ასახული ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ოპერაციები და ნაშთები 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

³⁶ 2020 წლის 10 თებერვლის ბრძანება N 2-122.

აუდიტი წარვმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი დასკვნის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია უარყოფითი მოსაზრების გამოთქმისთვის საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

საკითხი 2.1

ვადაგადაცილებული დავალიანებები

ჩვენი მოსაზრება მოდიფიცირებული არ არის ქვემოაღნიშნულ საკითხთან მიმართებით:

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ფინანსურ ანგარიშგებაში 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ასახულია 1996-2009 წლებში წარმოშობილი და ლიკვიდირებული ორგანიზაციების ბალანსებიდან გადმოსული ვადაგადაცილებული კრედიტორული დავალიანებები – 8,583,378 ლარის ოდენობით. საინვენტარიზაციო კომისიის დასკვნის საფუძველზე 2019 წლის ბოლოს ჩამოიწერა 3,071,566 ლარის კრედიტორული დავალიანებები. შესაბამისად, დავალიანებები შემცირდა და შეადგენს 5,511,566 ლარს. მათ შორის, გაუცემელი შრომის ანაზღაურება და მასთან დაკავშირებული ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები შეადგენს 5,272,291 ლარს.

აღსანიშნავია, რომ 5,272,291 ლარიდან 3,458,354 ლარი³⁷ წარმოადგენს ყოფილი გარემოს დაცვის სამინისტროს ვალდებულებას, რომელზეც პირველადი დოკუმენტაცია სახელმწიფო აუდიტის სამსახურისთვის ვერ იქნა წარმოდგენილი.

³⁷ მათ შორის 2,220,117 ლარი შრომის ანაზღაურება და 1,238,237 ლარი - ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები.

3. სხვა გარემოებები

საკითხი 3.1 სააღრიცხვო პოლიტიკა

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებულ შემდეგ უწყებაში: ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო, სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო, სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო, სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო, სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო, სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო – არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

აღსანიშნავია, რომ სსიპ – გარემოს ეროვნულმა სააგენტომ სააღრიცხვო პოლიტიკა დამტკიცა 2020 წელს.³⁸

საკითხი 3.2 აღრიცხვა - ანგარიშგების ხარვეზები

სამინისტროს ცენტრალურ აპარატში ცალკე სტრუქტურული ერთეულის სახით შექმნილი ორგანიზაცია „ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB), სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (GEF, IFAD)“ წარმოადგენს ფინანსურ მენეჯერს დონორების მიერ დაფინანსებული საინვესტიციო პროექტების ფარგლებში. კერძოდ, ის აღრიცხავს დონორებისგან მიღებულ ფულად სახსრებს და ამ თანხებით აფინანსებს შესაბამის პროექტებს.

დონორების პროექტის ბუღალტრული აღრიცხვა არ შეესაბამება ფინანსთა მინისტრის N429 ბრძანებით დადგენილ აღრიცხვის ინსტრუქციას, ანგარიშთა გეგმა არის განსხვავებული და გატარებები არ არის სტანდარტული.

აღნიშნული გარემოებიდან გამომდინარე, ბუღალტრული მონაცემები არ ასახავს სრულყოფილ ინფორმაციას საბალანსო ანგარიშების ნაშთებისა და წლის განმავლობაში არსებული ოპერაციების შესახებ. მნიშვნელოვანი სხვაობებია წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ მონაცემებსა და აღრიცხვის მთავარ წიგნს შორის. წარსადგენად მომზადებული ანგარიშგება კორექტირდება მანუალურად და რთულია შესაბამისი კორექტირებების შესახებ დასაბუთებული მტკიცებულებების მოპოვება.

ამდენად, დონორების პროექტის ფარგლებში მომზადებული ფინანსური ანგარიშგება შესაძლებელია შეიცავდეს არსებით უზუსტობებს.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს მაკონტროლებელი ერთეულის ყველა კონტროლირებად ერთეულს,³⁹ რაც ეწინააღმდეგება აღრიცხვის ინსტრუქციის მოთხოვნებს.⁴⁰

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში უნდა აისახოს:

ა) მნიშვნელოვანი კონტროლირებული ერთეულების ჩამონათვალი;

³⁸ სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს დირექტორის 2020 წლის 13 აპრილის N47/ს ბრძანება.

³⁹ მათ შორის: შპს „საქართველოს მელიორაცია“, შპს „სოფლის მეურნეობის ლოჯისტიკის და სერვისების კომპანია“ (ყოფილი შპს „მექანიზატორი“), სს – საქართველოს სოფლის მეურნეობის კორპორაცია, შპს „გორის სასათბურე მეურნეობა“, შპს „იმერეთის აგროზონა“;

⁴⁰ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 39, პუნქტი 4; მუხლი 41, პუნქტი 32, ქვეპუნქტები: „ა“ და „ბ“.

ბ) ისეთი კონტროლირებული ერთეულების კრებსითი ფინანსური ინფორმაცია, ინდივიდუალურად ან ჯგუფურად, აქტივების, ვალდებულებების, ნამეტისა და დეფიციტის ჯამური თანხების ჩათვლით, რომლებიც არ არის კონსოლიდირებული.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული ინფორმაცია ისეთი მიმდინარე სასამართლო დავების შესახებ, რომელთა სავარაუდო თანხა 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 739,687 ლარს და მათი მოგებით დასრულების ალბათობა სააგენტოს იურიდიული სამსახურის შეფასებით მაღალია.

აღრიცხვა-ანგარიშგების ხარვეზებიდან გამომდინარე, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სრულყოფილად არ ასახავს ანგარიშგების მომხმარებლებისათვის საჭირო მნიშვნელოვან ინფორმაციას.

საკითხი 3.3 მოთხოვნები

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს ფინანსურ ანგარიშგებაში 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით აღრიცხულია 10,838,936 ლარის დებიტორული დავალიანებები, რომლებიც წარმოშობილია გერმანიის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (KfW) მიერ დაფინანსებული დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში.⁴¹ აღნიშნული პროგრამა გულისხმობს საქართველოს დაცული ტერიტორიების⁴² ინფრასტრუქტურულ მოწყობასა და საკონსულტაციო მომსახურების გაწევას შესაბამისი ტერიტორიების მართვის გაუმჯობესების მიზნით.

დონორის მიერ გამოყოფილი თანხების ათვისება ხორციელდება მისივე დაქირავებული კონსულტანტების⁴³ მიერ, რის შესახებაც სააგენტოს ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ხაზინა და ამ მონაცემების საფუძველზე ხდება მოთხოვნების აღიარება ავანსის სახით.

აღსანიშნავია, რომ ხაზინიდან მიღებული ინფორმაციით, სააგენტო ვერ ახდენს იდენტიფიცირებას, თუ რომელი აქტივების შექმნას ან მომსახურების გაწევას უკავშირდება პროექტის შესრულებისთვის დონორის მიერ გადარიცხული თანხები. ასევე, სააგენტოს არ აქვს ინფორმაცია შესრულებული სამუშაოების სტატუსის შესახებ. შესაბამისად, პროექტის დასრულებამდე ვერ ჩამოწერს 2014 წლიდან აკუმულირებულ ავანსებს, რომლებიც შესაძლებელია წარმოადგენდეს ხარჯს ან ძირითად აქტივს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები, რამდენად არის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 10,838,936 ლარი დებიტორული დავალიანება.

საკითხი 3.4 საწვავის მარაგების მართვა

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს არ აქვს სათანადოდ დაგეგმილი საწვავის მარაგების მართვა. კერძოდ, მარაგების 2019 წლის საწყისი და საბოლოო ნაშთები იდენტურია და დაახლოებით შეადგენს 750,000 ლარს, საიდანაც გარკვეული ნავთობპროდუქტებისაგან 2018 წელს შემენილი ნავთობპროდუქტები 427,815 ლარის ოდენობით 2019 წელს საერთოდ არ არის გახარჯული, რაც ზრდის საწვავის მარაგების არაეფექტიანად განკარგვის რისკს.

საკითხი 3.5 ძირითადი აქტივები

დონორების პროექტის 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული 49,998 ლარის დაუმთავრებელი

⁴¹ „დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში - საქართველო“.

⁴² ალგეთის ეროვნული პარკი, ფშავ-ხევსურეთის დაცული ტერიტორიები, ყაზბეგის ეროვნული პარკი და კინტრიშის დაცული ტერიტორიები.

⁴³ გერმანიაში დაქირავებული კონსულტანტები და საქართველოში არსებული საკონსულტაციო ჯგუფი: GFA Consulting Group.

მშენებლობა⁴⁴ არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმებს. შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ძირითადი აქტივების მუხლი – 49,998 ლარით გაზრდილად არის წარმოდგენილი.

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსზე ასახულია 1,114,326 ლარის ღირებულების ნაპირსამაგრი ნაგებობები, მათ შორის, 2019 წლის ინვენტარიზაციის სხდომის ოქმის⁴⁵ მიხედვით, 71,975 ლარის ნაგებობები არ აკმაყოფილებს აქტივად აღიარების კრიტერიუმს. სააგენტოს არ გააჩნია აღნიშნული აქტივების განკარგვისა და კონტროლის განხორციელების უფლებამოსილება,⁴⁶ შესაბამისად, ექვემდებარება ხარჯად ჩამოწერას. ნაპირსამაგრი ნაგებობების გადაცემის მოთხოვნით, გარემოს სააგენტომ წერილობით მიმართა შესაბამის მუნიციპალიტეტებს. ამ ეტაპზე მიმდინარეობს მოლაპარაკება აქტივების გადაცემასთან დაკავშირებით. აღსანიშნავია, რომ 2020 წლის 23 იანვარს 57,248 ლარის აქტივები გადაეცა⁴⁷ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტს.

საკითხი 3.6 ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული ან/და გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასარწმუნებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს და სსიპ – ეროვნულ სატყეო სააგენტოს არ დაუსრულებია ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების 2019 წლის ინვენტარიზაცია.

დონორების პროექტის ფარგლებში 2019 წელს არ ჩატარებულა ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია.

სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით დასრულებული აქვს ინვენტარიზაცია, თუმცა ფინანსურ ანგარიშგებებში გათვალისწინებული არ არის საანგარიშგებო პერიოდში ჩატარებული ინვენტარიზაციის შედეგად დაფიქსირებული 535,005 ლარის⁴⁸ აქტივების დანაკლისები. აღსანიშნავია, რომ 414,677 ლარის დანაკლისი გამოვლენილია 2012 წლის ინვენტარიზაციის შედეგად და ამავე წელს ინფორმაცია გადაცემულია საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროსთვის.⁴⁹

სსიპ – სოფლის მეურნეობის ლაბორატორიასა და სსიპ – გარემოს ეროვნულ სააგენტოში 2019 წელს მარაგების ინვენტარიზაცია არასრულყოფილად არის ჩატარებული. კერძოდ, ინვენტარიზაციის აქტში დაფიქსირებული მარაგების ნაშთები არ ემთხვევა ბუღალტრულ მონაცემებს.

საკითხი 3.7 შემოსავლები

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტოს ერთ-ერთი შემოსავლის წყაროა ფიტოსერტიფიკატების გაცემა, რაც წარმოადგენს მცენარეული წარმოშობის პროდუქციის ექსპორტის ან რეექსპორტის ნებართვებს. სააგენტო ფიტოსერტიფიკატის გაცემიდან მიღებულ შემოსავლებს აღიარებს რეგიონალური სამსახურებიდან მიღებული Excel-ის ფაილების საფუძველზე.

⁴⁴ პირუტყვის გადასარევი ტრასის საოპერაციო-ტექნიკურ ეკონომიკური დასაბუთების მომზადება.

⁴⁵ 2019 წლის 25 დეკემბრის საინვენტარიზაციო კომისიის სხდომის ოქმი N8.

⁴⁶ „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 107-ე მუხლის 1-ლი პუნქტი.

⁴⁷ 2020 წლის 23 იანვრის უძრავი ქონების გადაცემის თაობაზე მიღება-ჩაბარების აქტი.

⁴⁸ თანხა აქტივების ისტორიული ღირებულებაა.

⁴⁹ ინვენტარიზაციის აქტის მიხედვით, აღნიშნული ქონება 90-იან წლებში საომარი მოქმედებების პერიოდის შემდგომ იქნა განადგურებული/გამარცხლი.

აღნიშნული რეესტრები არ არის ავტორიზებული დოკუმენტი და ხშირად არ ემთხვევა ბუღალტრულ მონაცემებს.

სააგენტოში არ არის დანერგილი შესაბამისი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფდა რეგიონებიდან მიღებული ინფორმაციის სიზუსტესა და სისრულეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ვერ დავრწმუნდით ფიტოსერტიფიკატების გაცემით მიღებული შემოსავლების სისრულესა და სიზუსტეში.

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2019 წელს არ აქვს აღრიცხული საიჯარო ხელშეკრულებების⁵⁰ საფუძველზე მისაღები შემოსავლები 36,533 ლარის ოდენობით.

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში შემოსავლებისა და მოთხოვნების მუხლები შემცირებულია 36,533 ლარით.

საკითხი 3.8 გრანტები (ხარჯები)

სსიპ – სურსათის ეროვნულ სააგენტოს 2019 წელს გრანტის ხარჯად აქვს აღიარებული 2018 წლის ცხოველთა ჯანმრთელობის დაცვის მსოფლიო ორგანიზაციის საწევრო გადასახადი 74,633 ლარის ოდენობით.

სსიპ – ღვინის ეროვნულ სააგენტოს 2019 წელს გრანტის ხარჯად აქვს აღიარებული სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრისათვის 2018 წელს გადაცემული აქტივი 235,000 ლარის ღირებულებით.⁵¹

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში, „გრანტების“ (ხარჯები) მუხლი გაზრდილია 309,633 ლარით.

საკითხი 3.9 სხვა ხარჯები

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს „სხვა მიმდინარე ხარჯების“ მუხლში აღრიცხული სადემარკაციო და აზომვითი სამუშაოებისთვის⁵² გადახდილი თანხა 47,572 ლარის ოდენობით, 2017 წლის ხარჯია და არასწორად არის აღრიცხული 2019 წელს.

შესაბამისად, 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში სხვა ხარჯების მუხლი გაზრდილია 47,572 ლარით.

საკითხი 3.10 საცნობარო მუხლები

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2019 წლის 31 დეკემბრით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების საცნობარო მუხლებში აღრიცხული აქვს ამორტიზებული ძირითადი აქტივებისა და ხარჯებში ჩამოწერილი მარაგების ნაშთები, შესაბამისად, 4,403,556 ლარის და 1,520,339 ლარის ოდენობით.

ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები, რა აქტივებისაგან შედგება ზემოხსენებული თანხები.

შესაბამისად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას აღნიშნული 5,923,905 ლარის აქტივების არსებობასა და სისწორეზე.

⁵⁰ შპს „არგოსთან“ 2018 წლის 31 ივლისსა და 2018 წლის 29 ნოემბერს გაფორმებული ხელშეკრულებები.

⁵¹ მიღება-ჩაბარების აქტი გაფორმებულია 14/12/2018-ში.

⁵² შპს „დისტანციური ზონდირებისა და გეოინფორმაციული სისტემების საკონსულტაციო ცენტრ“ „გეოგრაფიკისათვის“ გადახდილი თანხა.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია თანდართული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი - უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ის მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

- ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

- ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

- ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას;

- ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

- ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

- მოვიპოვებთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;

- ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორები

გიორგი ხითარიშვილი
წამყვანი აუდიტორი

შორენა თირქია
წამყვანი აუდიტორი

ანა ალავერდაშვილი
წამყვანი აუდიტორი

მირიან შარიქაძე
აუდიტორი

ხელმოწერა



გიორგი ვასილევსკი
აუდიტორი

გიორგი ხადიშვილი
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

სიმონ კიპაროძე
უფროსი აუდიტორ-ასისტენტი

დიანა ცოტაძე
აუდიტორ-ასისტენტი

ლაშა ლეხანაძე
აუდიტორ-ასისტენტი



The image shows five handwritten signatures in blue ink, each placed on a horizontal line. The signatures are written in Georgian script. From top to bottom, they correspond to the names listed on the left: Giorgi Vasilevski, Giorgi Khadishvili, Simon Kiparodze, Diana Kotadze, and Lasha Lekhanadze.

**ფინანსური
ანგარიშგების
ფორმები და ახსნა-
განმარტებითი
შენიშვნები**

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	ანგარიში	31/12/2019	31/12/2018
აქტივები			
მოკლევადიანი აქტივები			
ფულადი სახსრები	1100-1200	27,899,473	40,335,391
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	1300	55,241,294	62,755,918
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	1400	34,953,311	18,903,684
მოკლევადიანი ფინანსური აქტივები - მატერიალური მარაგები	1620	29,870,543	14,632,243
სულ მოკლევადიანი აქტივები		147,964,621	136,627,236
გრძელვადიანი აქტივები			
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	1500	1,350,093,343	1,360,870,306
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	2200	2,101,547	1,875,890
ძირითადი აქტივები	2100	188,109,206	161,970,445
ფასეულობები	2300	-	-
არაწარმოებული აქტივები	2400	32,821,261	20,566,536
საინვესტიციო ქონება	2500	-	-
სულ გრძელვადიანი აქტივები		1,573,125,357	1,545,283,177
ბალანსი		1,721,089,978	1,681,910,413
ვალდებულებები			
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები			
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	3100	462,675	353,700
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	3200	13,712,181	14,588,349
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები		14,174,856	14,942,049
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	3300	-	-
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		-	-
სულ ვალდებულებები		14,174,856	14,942,049
კაპიტალი			
აქტივების წმინდა ღირებულება	5100	1,665,935,341	1,631,900,459
გაუნაწილებელი მოგება	5220	40,979,780	35,067,905
დაუფარავი ზარალი	5230	-	-
სულ კაპიტალი		1,706,915,121	1,666,968,364
ბალანსი		1,721,089,977	1,681,910,413

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	2019 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წელი)			2018 წლის 31 დეკემბერი (საანგარიშო წლის წინა წელი)
	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ	
ბიუჯეტიდან დაფინანსება	358,044,813	-	358,044,813	263,009,177
შემოსავლები	22,214,853	50,005,284	72,220,137	83,180,178
გადასახადები	-	-	-	-
სოციალური შენატანები	-	-	-	-
გრანტები	13,983,477	14,813,682	28,797,159	48,083,633
სხვა შემოსავლები	8,231,376	35,191,602	43,422,978	35,096,545
ა) შემოსავლები საკუთრებიდან	1	1,074,035	1,074,036	1,419,308
ბ) საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	-	24,833,229	24,833,229	29,244,447
გ) სანქციები, ჯარიმები, საურავები	3,366,463	26,868	3,393,331	3,155,784
დ) ტრანსფერები, რომლებიც სხვაგან არ არის კლასიფიცირებული	4,864,912	9,257,470	14,122,382	1,214,466
ე) დაზღვევის (სიცოცხლის დაზღვევის გარდა) და სტანდარტული გარანტიის სქემით მიღებული პრემიები, ჩარიცხვები და მოთხოვნები	-	-	-	62,540
სულ:	380,259,666	50,005,284	430,264,950	346,189,355
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	42,659,230	14,524,139	57,183,369	5,514,1591
საქონელი და მომსახურება	75,669,923	17,313,148	92,983,071	82,300,600
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	13,557,453	3,437,411	16,994,864	14,255,020
პროცენტი				
სუბსიდიები	109,910,869	6,335	109,917,204	92,270,708
გრანტები	21,072,162	4,186,318	25,258,480	33,324,605
სოციალური უზრუნველყოფა	787,056	326,601	1,113,657	781,186
სხვა ხარჯები	68,117,744	5,136,635	73,254,379	29,138,918
სულ:	331,774,438	44,930,586	376,705,023	307,212,628
ფინანსური შედეგი	48,485,228	5,074,699	53,559,927	38,976,727

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	31,448,991	5,911,875	2,585,890	39,946,756
კორექტირებები:	(25,949,968)	2,173,776	(13,653)	(23,789,846)
ცვლათ (+)	13,557,453	3,437,411	-	16,994,864
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	(27,435,505)	(2,434,375)	-	(29,869,880)
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	(14,609,463)	(632,409)	3,572	(15,238,300)
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები ზრდა/კლება (-/+)	206,534	36,348	(17,225)	(225,657)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	5,181,888	(354,902)	-	4,826,986
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(2,850,876)	2,121,703	-	(729,173)
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	5,499,023	8,085,651	2,572,237	16,156,910
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა	-	-	-	-
ძირითადი აქტივები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	-	-	-	-
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	21,037,262	2,208,529	1,509,960	24,755,751
ძირითადი აქტივები	19,775,553	2,207,074	1,509,960	23,492,587
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	1,261,709	1,455	-	1,263,164
საინვესტიციო ქონება	-	-	-	-
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(21,037,262)	(2,208,529)	(1,509,960)	(24,755,751)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(3,713,804)	-	-	(3,713,804)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	(2,174)	111,149	-	108,975
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(3,715,978)	111,149	-	(3,604,829)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(19,254,217)	5,988,271	1,062,277	(12,203,669)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	29,745,898	10,589,493	-	40,335,391
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	11,661,630	16,237,843	-	27,899,473
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორისი სხვაობა (-/+)	-	-	-	-
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	არასაბიუჯეტო სახსრები	სულ
საწყისი ნაშთი	1,633,760,950	36,617,438	1,670,378,388
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები	-	-	-
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები	(1,860,492)	(1,549,531)	(3,410,023)
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	1,631,900,458	35,067,907	1,666,968,365
არასაოპერაციო შემოსავლები	25,034,218	2,083,932	27,118,150
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	2,578,747	80,353	2,659,100
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	22,455,471	2,003,579	24,459,050
არასაოპერაციო ხარჯები	13,282,314	478,904	13,761,218
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	297,146	34,241	331,387
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	12,985,168	444,663	13,429,831
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	26,202,250	767,854	26,970,104
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	48,485,228	5,074,699	53,559,927
ნაშთი წლის ბოლოს	1,665,935,340	40,979,780	1,706,915,120

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებ ული გეგმით	დაზუსტებუ ლი გეგმით	გადახრა % დაზუსტებუ ლ და დამტკიცებუ ლ გეგმას შორის	საკასო (ფაქტობრივ ი) ხარჯი	გადახრა % საკასო (ფაქტობრივ) ხარჯსა და დაზუსტებუ ლ გეგმას შორის	დარიცხული ხარჯი	გადახრა დარიცხულ და საკასო (ფაქტობრივ) ხარჯს შორის
ხარჯები	322,094,000	325,122,310	100.94%	334,220,619	102.8%	331,774,438	(2,446,182)
მათ შორის:							
შრომის ანაზღაურება	42,842,000	41,894,500	97.79%	42,673,082	101.86%	42,659,230	(13,852)
არაფინანსური აქტივების ზრდა	18,006,000	22,767,690	126.45%	23,824,194	104.64%	-	(23,824,194)
ფინანსური აქტივების ზრდა	-	-	0%	-	0%	-	-
ვალდებულებე ბის კლება	-	-	0%	-	0%	-	-

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის წლიური ფინანსური ანგარიშგების ფორმები მომზადებულ იქნა მოდიფიცირებული საკასო მეთოდის შესაბამისად.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფ ორგანიზაციას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მოიცავს შემდეგი ორგანიზაციების ფინანსურ ანგარიშგებებს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი;
2. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტო;
3. სსიპ სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი;
4. სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტო;
5. სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია;
6. სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო;
7. ააიპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო;
8. სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტო;
9. სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განთლების ცენტრი;
10. სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი;
11. სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტო;
12. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო;
13. სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო;
14. სსიპ ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო.

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია „ფუნქციონირებადი ერთეულის“ დაშვების საფუძველზე, ხოლო სააღრიცხვო პოლიტიკა უცვლელად გამოიყენება მთლიანი პერიოდის განმავლობაში.

დაფინანსების წყაროები: ბიუჯეტიდან დაფინანსება, საკუთარი შემოსავლები, გრანტი

არაფინანსური აქტივები:

შეფასება: აქტივი შეფასებულია ისტორიული ღირებულებით.

ძირითადი კაპიტალის მოხმარება :

ამორტიზაციის (ცვეთის) დარიცხვა ხდება წრფივი მეთოდით.

დებიტორული/კრედიტორული დავალიანებები:

დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები წარმოადგენს როგორც მიმდინარე -ავანსად გადახდილ ასევე ვადაგადაცილებულ დავალიანებებს.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ნაერთ ფინანსურ ანგარიშგების დანართ N1-ში ნაშთი წლის დასაწყისში 2 880 447 ლარით არ ედრება 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგების ნაშთს წლის ბოლოს, რაც განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1) სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განთლების ცენტრის ბალანსიდან: 1240 ანგარიშის საწყისი ნაშთის სხვაობა 1389 ლარი გამოწვეულია შემდეგი გარემოებით-2019 წელს მოზრუნდა თანხა შტატგარეშე მომუშავეთა ანაზღაურების მუხლში 1389 ლარი, რომელიც 2018 წლის ბალანსში არ მოხვდა და ხაზინის ამონაწერში გატარებულია 2018 წელს, შესაბამისად გასწორდა ნაშთი წლის დასაწყისში 1240 ანგარიში და წმინდა ღირებულების ანგარიში.

2) სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსიდან:

1240 ანგარიშზე წლის დასაწყისში არსებული ნაშთი განსხვავდება 26909 ლარით 2018 წლის წლიური ბალანსის 1240 ანგარიშზე არსებულთან, რაც გამოწვეულია 2018 წელს შეძენილი უცხოური ვალუტის 8,865.84 ევროს (27219.02 ლარი) 2019 წელს უკუკონვერტაციით. ხაზინის მიერ მოხდა ხსენებული თანხის წლის დასაწყისში ნაშთად ასახვა. შესაბამისად 1280 ანგარიშზე არსებული ნაშთიც განსხვავებულია 2018 წლის ბალანსთან. კურსთა შორის სხვაობამ შეადგინა 410 ლარი, შესაბამისად 5100 ანგარიშზე წლის დასაწყისში არსებული ნაშთიც განსხვავდება 410 ლარით.

3) სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური ანგარიშგების დანართ N1-ში ნაშთები წლის დასაწყისში 2 622 251 ლარი არ ედრება წინა წლის ფინანსური ანგარიშგების ნაშთს წლის ბოლოს. სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ განხორციელდა აუდიტორული შემოწმება 2018 წლის 31 დეკემბრის დასრულებული პერიოდისათვის, რომლის საფუძველზეც გამოიცა სარეკომენდაციო წერილი. აღნიშნულ წერილში მითითებული რეკომენდაციების საფუძველზე განხორციელდა გარკვეული ტიპის მაკორექტირებელი გატარებები, რამაც განაპირობა 01.01.2019 წლის მდგომარეობით საწყისი ნაშთების ცვლილებები, კერძოდ:

- 1) ფულადი სახსრების ანგარიშზე, კერძოდ, ნაღდი ფული სალაროში #1110-ის ნაშთი გაზრდილია 31 700,20 ლარით, რომელიც წინა წელს არ იყო ასახული ბალანსში. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში 2018 წელს შემოსავლის აღიარება ხორციელდებოდა საკასო მეთოდით, 2019 წლის ფინანსური მონაცემები კი წარმოდგენილია დარიცხვის მეთოდით, რამაც გამოიწვია საწყისი ნაშთების კორექტირება. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში N5240 ანგარიშის კორექტირებაც.
- 2) 2018 წლის ბოლოს #1211 ანგარიშზე - მიმდინარე ანგარიში ბანკში ეროვნულ ვალუტაში ფიქსირდებოდა 877 123 ლარი, რომელიც თავის მხრივ მოიცავდა დეპოზიტზე განთავსებულ 866 134,42 ლარს. აღნიშნული თანხა გადმოტანილია #1220 ანგარიშზე - სხვა ანგარიშები ბანკში.
- 3) #1230 ანგარიშზე არსებული სხვაობის ცვლილება 118 ლარით გამოწვეულია ხაზინის ამონაწერში ნაშთის გასწორებით. შესაბამისად განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირებაც.
- 4) #1353 ანგარიში - დეპოზიტებზე და სხვა ფინანსურ აქტივებზე დარიცხული პროცენტები გაზრდილია 183,92 ლარით, რაც გამოწვეულია აღრიცხვის მეთოდის ცვლილებით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში N5240 ანგარიშის კორექტირებაც.
- 5) #1354 ანგარიში - მოთხოვნები დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით და საკუთრებასთან დაკავშირებული სხვა შემოსავლებით გაზრდილია 233,72 ლარით, რაც გამოწვეულია აღრიცხვის მეთოდის ცვლილებით, რომლის დროსაც განხორციელდა კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დარიცხული პირგასამტეხლოს/ჯარიმის თანხის დათვლა. საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირებაც.
- 6) #1355 ანგარიში - მოთხოვნები ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახურების მიწოდებით გაზრდილია 4 579,30 ლარით, ხოლო #1370 ანგარიში - სხვა დანარჩენი მოკლევადიანი ფინანსური აქტივები გაზრდილია 20 902,25 ლარით, რაც გამოწვეულია აღრიცხვის მეთოდის ცვლილებით, რომლის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირებაც.

7) ანგარიში #1431 მოთხოვნები საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით გაზრდილია 202 185,80 ლარით. აღნიშნული გამოწვეულია დაცული ტერიტორიების მხარდაჭერის პროგრამა კავკასიაში KFW – 202 172,00 ლარის ცვლილებით. შესაბამისად, დაკორექტირდა #5100 ანგარიშის საწყისი ნაშთიც. საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. რაც შეეხება 13,80 ლარით ცვლილებას, ის გამოწვეულია დარიცხვის მეთოდის ცვლილებით, რომლის საფუძველს ასევე სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი წარმოადგენს. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირება.

8) #1432 ანგარიში - მოთხოვნები არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით შემცირებულია 385 591,36 ლარით, რაც გამოწვეულია შპს მტმ-ზე შეცდომის კორექტირებით. შესაბამისად განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირება.

9) #1454 ანგარიში - ანგარიშვალდებული პირების მიმართ სხვა მოთხოვნები გაზრდილია 69 262,21 ლარით, რომლის საფუძველსაც წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. განხორციელდა წინა წლებში გაცემული შრომის ანაზღაურების გადაანგარიშება ისეთ თანამშრომლებზე, რომლებსაც ზედმეტად ჰქონდათ ჩარიცხული დასაკავებელი საშემოსავლო გადასახადის თანხები. შესაბამისად, აღნიშნული გატარებებით დაკორექტირდა #3243 ანგარიში - საშემოსავლო გადასახადი - სპეციალური უწყისის მიხედვით.

10) #1461 ანგარიში - მოთხოვნები მივლინებით ქვეყნის შიგნით გაზრდილია - 169,89 ლარით, რაც გამოწვეულია აღრიცხვის მეთოდის ცვლილებით, აღნიშნულის საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირება.

11) N1600 ანგარიში - მატერიალური მარაგები შემცირებულია ჯამში 495 916,42 ლარით. საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი, რომლის მიხედვითაც განხორციელდა საწყობიდან ექსპლუატაციაში მყოფი მარაგების იდენტიფიცირება ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით და ასევე, ექსპლუატაციაში მყოფი ან გამოსაყენებლად უვარგისი მატერიალური მარაგების ხარჯად ჩამოწერა, რის შედეგადაც განხორციელდა შემდეგი ანგარიშების კორექტირება:

✓ ნედლეული და მასალები, #1621 ანგარიში – 2 014,00 ლარი;

- ✓ მზა პროდუქცია, #1623 ანგარიში – 410,00 ლარი;
- ✓ ფულადი დოკუმენტები, #1625 ანგარიში – 6 432,99 ლარი;
- ✓ სათადარიგო ნაწილები, #1626 ანგარიში – 4 344,00 ლარი;
- ✓ სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგები, #1627 ანგარიში – 482 715,43 ლარი.

შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირება.

12) #2112 ანგარიში - არასაცხოვრებელი შენობები შემცირებულია 14 295,93 ლარით, სხვაობა გამოწვეულია ისეთ აქტივებზე ცვეთის დარიცხვით, რომელსაც წინა წლებში ცვეთა დარიცხული არ ჰქონდა. საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირება.

13) #2119 ანგარიში - სხვა ნაგებობები შემცირებულია 1 578 881,23 ლარით, საიდანაც 565 634,83 ლარის სხვაობა გამოწვეულია ისეთ აქტივებზე ცვეთის დარიცხვით, რომელსაც წინა წლებში ცვეთა დარიცხული არ ჰქონდა. რაც შეეხება 1 013 246,40 ლარის სხვაობას, ის გამოწვეულია ისეთი ძირითადი აქტივების ჯამით, რომლის განკარგვის უფლებამოსილება „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ მიკუთვნებული აქვს მუნიციპალიტეტს და რომელიც ასახულ იქნა საცნობარო მუხლში. ორივე შემთხვევაში საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშისა და #5100 ანგარიშის კორექტირება.

14) #2132 ანგარიში - არამატერიალური ძირითადი აქტივები შემცირებულია 150 ლარით, სხვაობა გამოწვეულია ისეთ აქტივებზე ცვეთის დარიცხვით, რომელსაც წინა წლებში ცვეთა დარიცხული არ ჰქონდა. საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირება.

15) #2122 ანგარიში - სხვა მანქანა-დანადგარები და ინვენტარი შემცირებულია 32 963,34 ლარით. სხვაობა გამოწვეულია სააგენტოს ბალანსზე რიცხულ იარაღებზე ცვეთის დარიცხვა- გადაანგარიშებით, რომელიც არ ხორციელდებოდა წინა წლებში. საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირება.

16) #2410 ანგარიში - მიწა შემცირებულია 443 742, 68 ლარით, რომელიც წარმოადგენს სააგენტოს მართვაში არსებულ დაცულ ტერიტორიებზე

განხორციელებულ სადემარკაციო და სხვა სახის სამუშაოებს, რაც თავის მხრივ იყო ხარჯები და არ აკმაყოფილებდა აქტივად აღიარების კრიტერიუმს. საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი. შესაბამისად, დაკორექტირდა N5100 ანგარიში.

17) #2000 ანგარიში - გრძელვადიანი არაფინანსური აქტივების მუხლში განხორციელდა ანგარიშებს შორის გადატანა, კერძოდ: #2122 და #2132 ანგარიშებიდან 211,56 ლარი გადატანილია #2119 ანგარიშზე. ასევე, #2410 ანგარიშიდან 49,20 ლარი გადატანილია #2430 ანგარიშზე.

18) #3000 ანგარიში - ვალდებულებები გაზრდილია 558 465,15 ლარით. სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოში წინა წლებში შემოსავლის აღიარება ხორციელდებოდა საკასო მეთოდით, 2019 წლის ფინანსური მონაცემები კი წარმოდგენილია დარიცხვის მეთოდით, რამაც გამოიწვია საწყისი ნაშთების კორექტირება შემდეგ ანგარიშებზე :

- ✓ #3210 ანგარიში - საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული ვალდებულებები გაზრდილია 2 143,31 ლარით;
- ✓ #3246 ანგარიში - გადასახდელი ქონების გადასახადი გაზრდილია 201 335,63 ლარით;
- ✓ #3241 ანგარიში - გადასახდელი მოგების გადასახადი გაზრდილია 284 234,00 ლარით;
- ✓ #3286 ანგარიში - სხვა დარიცხული მოკლევადიანი ვალდებულებები გაზრდილია 1 490,00 ლარით;
- ✓ #3243 ანგარიში - საშემოსავლო გადასახადი გაზრდილია 69 262,21 ლარით (იხ. საკითხი N9)

აღრიცხვის მეთოდის ცვლილების საფუძველს წარმოადგენს სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული სარეკომენდაციო წერილი და მოქმედი კანონმდებლობა. შესაბამისად, განხორციელდა საკუთარ კაპიტალში #5240 ანგარიშის კორექტირებაც.

4) ასევე საწყისი ნაშთი შეცვლილია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსშიც კერძოდ: 2018 სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად 2112 ანგარიშზე სასტარტო ნაშთი შემცირებული იქნა 64506 ლარით 2019 წლის პირველი იანვრისთვის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 2911555. აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს საგარეჯოს სატყეო უბანზე შეცდომით ორჯერ ასახულ შენობის ღირებულებას , რომელიც დაკორექტირდა.

ასევე 2018 სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად 2410 ანგარიშზე სასტარტო ნაშთი შემცირებული იქნა 36303 ლარით 2019 წლის პირველი იანვრისათვის დაზუსტებულმა ნაშთმა შეადგინა 2906390 ლარმა, აღნიშნული სხვაობა წარმოადგენს საგარეჯოს სატყეო უბანზე შეცდომით ორჯერ ასახულ მიწის ღირებულებას, საანგარიშო პერიოდში 73181 ლარის ღირებულების მიწა იქნა აფასებული სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს მიერ.

2018 სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად 1623 ანგარიშზე არსებული ნაშთი დაკორექტირდა 119688 ლარით, რომელიც წარმოადგენს ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსზე რიცხულ სეკვესტრირებულ ხე-ტყის ნაშთს, ფაქტობრივი მდგომარეობით ხანდაზმულობის გამო დაკარგული აქვს სასაქონლო ღირებულება, რომელზედაც ამჟამად მიმდინარეონს ინვენტარიზაცია. აღნიშნული ღირებულების სეკვესტრირებული ხე-ტყე თანხით 119 688 ლარი გადატანილია ბალანსგარე ანგარიშზე „პირობით აქტივებში“.

5) საწყისი ნაშთი შეცვლილია სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ბალანსში კერძოდ: შემცირებულია გადასახდელი მოგების გადასახადი 3241 ანგარიშის საწყისი ნაშთი და გაზრდილია გაუნაწილებელი მოგება 5220 ანგარიში თანხით 29866 ლარი , რაც გამოწვეულია 2018 წელს დარიცხული მოგების გადასახადის ოდენობის შემცირებით.

N1211 ანგარიშზე წლის დასაწყისში არსებული ნაშთის გაზრდა გამოწვეულია კომერციულ ბანკებში განთავსებულ თანხებზე პროცენტის დარიცხვით.

N1220 ანგარიშზე სსიპ დაცული ტერიტორიების ბალანსიდან ხაზინის ნაშთსა და ბალანსში ასახული ნაშთების სხვაობა გამოწვეულია საინკასო დავალებით ჩამოჭრილი თანხით - 33868,58 ლარით.

N1220 ანგარიშზე არსებული ნაშთები წარმოადგენს პირდაპირი ჩარიცხვების თანხებს რაც არ არის ასახული ხაზინის ამონაწერებში, არსებული ნაშთიდან საანგარიშო პერიოდის ბოლოს, 767854 ლარი არის შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტისთვის განთავსებული საბიუჯეტო სახსრების ნაშთი. (ააიპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო).

N1230 ანგარიშის გაზრდა გამოწვეულია ეკონომიკური საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებით.

N1240 ანგარიშზე არსებული საბოლოო ნაშთი ედრება ხაზინის ამონაწერს, ხოლო საწყისი ნაშთი 28198 ლარით განსხვავდება წინა წლის ნაშთისაგან, რაც გამოწვეულია როგორც ზემოთ აღვნიშნეთ უცხოური ვალუტის უკუკონვერტაციით (26809 ლარი) და 1389 ლარის უკან დაბრუნებით.

N1280 ანგარიშის საბოლოო ნაშთი ედრება ხაზინის ამონაწერებს.

N1260 ანგარიშის შემცირება გამოწვეულია დონორების დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიკროსაფინანსო მიერ დაბრუნებული სესხების ძირითანების ბიუჯეტში გადარიცხვით. სულ გადარიცხულია 9 538 196 ლარი.

N1321 - ანგარიშის ნაშთის შემცირება გამოწვეულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე გაცემული სესხების ძირითანების დაბრუნებით (ყოველი წლის 01 თებერვალს და 01 აგვისტოს).

N1330 -ანგარიშზე ირიცხება ააიპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოსთვის 2019 წლის 26 ოქტომბრის ჩათვლით მართვის უფლებით გადმოცემული სს აკურა-ს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული აქციები.

N1351 – ანგარიშზე არსებული ნაშთის შემცირება გამოწვეულია მიკროსაფინანსო ორგანიზაციებზე და თი ბი სი ლიზინგზე გაცემული სესხების პროცენტების გადარიცხვით ბიუჯეტში ყოველი წლის 01 თებერვალს და 01 აგვისტოს.

N1353- ანგარიშზე არსებული ნაშთი, წარმოადგენს სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ კომერციულ ბანკში საპროცენტო სარგებლის მიღების მიზნით მიმდინარე ანგარიშზე განთავსებულ თანხაზე დარიცხულ და მისაღებ პროცენტს.

N1354 - ანგარიშის ცვლილება გამოწვეულია მომწოდებელი კომპანიის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დარღვევისათვის დარიცხულ პირგასამტეხლოს/ჯარიმის თანხით. ასევე ანგარიშის შემცირება გამოიწვეულია შემდეგი გარემოებით: 2019 წლის 31 დეკემბერს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატის ბალანსზე რიცხული, შპს საქართველოს მელიორაციაზე წინა წლებში გაცემული რესტრუქტურირებული სესხები, მათზე დარიცხული ჯარიმების და პროცენტის თანხა, 2020 წლის 19 მარტის მიღება-ჩაბარების აქტის და სახაზინო სამსახურის 2020 წლის 12 მარტის N18/31227 წერილის საფუძველზე გადაეცა

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახაზინო სამსახურს. სულ თანხით - 8 332 730 ლარი. მათ შორის: N1354 ანგარიში შემცირდა 5 805 964 ლარით; N1351 ანგარიში შემცირდა 526 765 ლარით; N1511 ანგარიში შემცირდა 2 000 000 ლარით;

N1355-ანგარიშის შემცირება გამოწვეულია მომსახურების მიწოდებით, ასევე სამინისტროს აპარატში საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილების შედეგად წინა წლების ყოფილი მელიორაციის დეპარტამენტის წყალმომარაგების დებიტორული დავალიანების 2 566 279 ლარის ჩამოწერის საფუძველზე.

N1358-ანგარიშზე ნაშთი წარმოადგენს საპენსიო სააგენტოსგან მისაღებ თანხას.

N1431- ანგარიშის საწყისი ნაშთის ცვლილება გამოწვეულია დონორების ბალანსიდან N1432 ანგარიშზე არსებული ნაშთის გამოტანით (1531492 ლარი), შესაბამისად შემცირდა N1432 ანგარიშის საწყისი ნაშთით. ასევე ნაშთის გაზრდა გამოწვეულია დებიტორული დავალიანების წარმოშობით. მათ შორის მთავრობის შესაბამისი განკარგულებების საფუძველზე შპს საქართველოს მელიორაციაზე გადარიცხული თანხებით.

N1432 ანგარიშის ცვლილება ასევე გამოწვეულია სამინისტროს აპარატში საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილების შედეგად წინა წლების დებიტორული დავალიანების 29889 ლარის ჩამოწერის საფუძველზე.

N 1440 ანგარიშის გაზრდა გამოწვეულია სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსიდან ინვენტარიზაციის საფუძველზე წარმოშობილი დანაკლისის აღიარებით (4251 ლარი). ასევე გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტის ბალანსიდან 33410 ლარით გამოწვეულია ძველი შენობის დემონტაჟის შედეგად მიღებული დანაკლისი.

N 1480 ანგარიშის საწყისი ნაშთის შემცირება გამოწვეულია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსიდან 6093 ლარის გადამოტანით N1431 ანგარიშზე; აღნიშნული ანგარიშის საბოლოო ნაშთის გაზრდა გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

დონორების დაფინანსებული პროექტის ფარგლებში- ბენეფიციარებისგან (მუნიციპალიტეტები და შპს საქართველოს მელიორაცია) მისაღები თანხები სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტების ლიკვიდაციის 5 %-ის გადასახდელად, ყოველი შესრულებული სამუშაოების წარმოდგენისას ხდება ამ დებიტორული დავალიანების გაზრდა, შესაბამისად იზრდება N 3220 ვალდებულებები კონტრაქტორების მიმართ.

N1511-ანგარიშის შემცირება გამოწვეულია დონორების ბალანსიდან მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და თი ბი სი ლიზინგის გრძელვადიანი სესხების ანგარიშებიდან შესაბამის მოკლევადიანი სესხების ანგარიშებზე თანხების გადატანით.

N 1512 ანგარიშის შემცირება გამოწვეულია დონორების დაფინანსებული პროექტის ფარგლებში მიკროსაფინანსო ორგანიზაციების გრძელვადიანი სესხების ანგარიშებიდან შესაბამის მოკლევადიანი სესხების ანგარიშებზე თანხების გადატანით.

N 1520 ანგარიში - ნაშთის შემცირება გამოწვეულია შემდეგი გარემოებით: ამ ანგარიშზე ასახულია სახელმწიფო წილობრივი მონაწილეობით შექმნილი სამინისტროს განკარგვაში მყოფი შპს - ების საწესდებო კაპიტალი, გარდა ფულადი სახსრებისა აღნიშნული ანგარიშის ცვლილება ხდება კაპიტალში აქტივების მიღება/გასვლის შედეგად.

დონორების ბალანსიდან აღნიშნული ანგარიში გაიზარდა 1 593 100 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების თანხით, რომელიც გადაეცა შპს საქართველოს მელიორაციას, აგრეთვე N1520 ანგარიში დაკორექტირდა 2018 წელს შექმნილი და გადაცემული შპს საქართველოს მელიორაციისადმი 354000 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების თანხით. სულ გაიზარდა 1 947 101 ლარით. აღნიშნული თანხა გატარებულია როგორც არასაოპერაციო შემოსავალი და ასახულია დანართN6-ში აქციების და სხვა კაპიტალის გრაფაში.

N3110 ანგარიშზე ნაშთი სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტოს ბალანსიდან -380 475 ლარი წარმოადგენს სალიცენზიო სერტიფიკატის საფასურს. ანგარიშის გაზრდა გამოწვეულია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ განუსაზღვრელი სადეპოზიტო კოდიდან 13164.35 ლარის გადმოტანით.

N3131 ანგარიშის ასახული თანხა წარმოადგენს შეღავათიანი აგროკრედიტის პროექტის ფარგლებში კომერციული ბანკების ანგარიშებზე განთავსებული თანხებიდან მინუსით გასულ ნაშთს.

N3210 ანგარიშის ნაშთის გაზრდა გამოწვეულია წარმოშობილი კრედიტორული დავალიანებებით.

N 3220 ანგარიშის - კლება გამოწვეულია დონორების ბალანსიდან კონტრაქტორებისთვის (კონტრაქტორების მიერ შესრულებული

სარეაბილიტაციო სამუშაოების დეფექტების ლიკვიდაციის 5%) დარიცხული ვალდებულებების გადახდებით.

ასევე ამ ანგარიშის კლება გამოწვეულია არაფინანსური აქტივების მოწოდებებით და ახალი ვალდებულებების წარმოქმნით.

ანგარიშის ცვლილება ასევე გამოწვეულია სამინისტროს აპარატში საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილების შედეგად წინა წლების კრედიტორული დავალიანების 202 399 ლარის ჩამოწერის საფუძველზე.

N3243 ანგარიშზე საწყისი ნაშთის ცვლილება გამოწვეულია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსში N3252 ანგარიშიდან თანხის გადმოტანით (11203 ლარი). შესაბამისად შემცირდა N3252 ანგარიში.

N 3245 ანგარიშის ცვლილება გამოწვეულია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმების გამოწერით წარმოქმნილი დავალიანების გამო. ასევე ააიპ პროექტების მართვის სააგენტოს პროექტების ფარგლებში მონაწილე ბენეფიციარების დაჯარიმებით გამოწვეული ვალდებულებები, ასევე კომერციულ ბანკებში წლის ბოლოს არსებული საბიუჯეტო თანხები, ანგარიშვალდებული პირების მიერ დასაბრუნებელი და სახელმწიფო ბიუჯეტში გადასარიცხი თანხები.

ანგარიშის ცვლილება ასევე გამოწვეულია სამინისტროს აპარატში საინვენტარიზაციო კომისიის გადაწყვეტილების შედეგად წინა წლების კრედიტორული დავალიანების 2 892 545 ლარის ჩამოწერის საფუძველზე.

N3282 ანგარიშზე არსებული ნაშთი წარმოადგენს ეკონომიკური საქმიანობის ფარგლებში წინასწარ მიღებულ თანხას, რაზეც გასაწევია მომსახურება .

N3286 ანგარიშზე ასახულია სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსიდან სააგენტოს მიერ ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელის თანხები.

დანართN2-ში -ხარჯების საკასო ხარჯი საბიუჯეტო სახსრებით შეადგენს 334 220 623 ლარს, წლიური ვალდებულება 337 442 950 ლარს. საკუთარი სახსრების ნაწილში საკასო ხარჯი შეადგენს 47 864 852 ლარს, წლიური ვალდებულება - 50 564 277 ლარს.

დანართN2-ში შემოსავლების ნაწილში ასახული თანხა 55 139 301 ლარი ედრება სახაზინო სამსახურის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.

დანართN2-ში შემოსავლების დარიცხული გრანტის ნაწილში ასახული თანხა 35 189 241 ლარი წარმოადგენს: სასაქონლო გრანტი-22 980 178 ლარი, ფულადი

სახით მიღებული გრანტი 14 713 919 ლარი. მომსახურების ფორმით მიღებული გრანტი - 58 689 ლარი. ასევე სხვაობა ჩარიცხულ გრანტსა და ხარჯს შორის (- 4 361 638) ლარი, რომელიც 91756 ლარით განსხვავებულია ხაზინის ამონაწერთან შედარებით, აღნიშნული სხვაობა გამოწვეულია სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს და დონორების ბალანსში ასახული თანხებით. მათი განმარტებით თანხის ეს ნაწილი ასახული იყო წინა წლის ბალანსის გრანტის შემოსავლებში. ასევე ამ თანხაში შედის მიზნობრივი გრანტის სავალუტო ანგარიშზე დარჩენილი დასაკონვერტირებელი ნაშთი სსიპ სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორიის ბალანსიდან.

დანართN3-ში -ხარჯების საკასო ხარჯი საბიუჯეტო სახსრებით შეადგენს 23 824 193 ლარს, წლიური ვალდებულება 24 403 725 ლარს. საკუთარი სახსრების ნაწილში საკასო ხარჯი შეადგენს 2 208 579 ლარს, წლიური ვალდებულება - 2 591 747 ლარს.

დანართი N 4 – ფინანსური აქტივების კლებაში ასახულია დონორების ბალანსიდან - გაცემული სესხების ძირითადი თანხების დაბრუნება ხაზინის სავალუტო და სადეპოზიტო კოდეზზე: სადეპოზიტო კოდი: 4409=907 587 ლარი; სავალუტო ანგარიში N 999990238 = 2 806 216 ლარი; სულ - 3 713 804 ლარი.

დანართ N5-ში ძირითადი აქტივების მიღებამ (შესყიდვით) მიმდინარე წელს შეადგინა 19 985 217 ლარი, მიღება წინა წლების ავანსების შემცირებით 5 398 433 ლარი, ხოლო საკასო ხარჯმა შეადგინა 26 032 773 ლარი, სხვაობა გამოწვეულია: წარმოქმნილი დებიტორ -კრედიტორებით და ასევე აქტივის შემენისას გადახდილი დღგ-ს თანხით.

დანართN 5-ის - 1623 -ანგარიშზე სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსიდან არსებული ნაშთი წლის დასაწყისში შეადგენდა 1164693 ლარს, 2018 სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციების შესაბამისად 1623 ანგარიშზე არსებული ნაშთი დაკორექტირდა 119688 ლარით, რომელიც წარმოადგენს ეროვნული სატყეო სააგენტოს ბალანსზე რიცხულ სეკვესტირებულ ხე-ტყის ნაშთს, ფაქტობრივი მდგომარეობით ხანდაზმულობის გამო დაკარგული აქვს სასაქონლო ღირებულება, რომელზედაც ამჟამად მიმდინარეონს ინვენტარიზაცია. აღნიშნული ღირებულების სეკვესტირებული ხე-ტყე თანხით 119 688 ლარი გადატანილია ბალანსგარე ანგარიშზე „პირობით აქტივებში“.

2019 წელში ეროვნული სატყეო სააგენტოს მიერ დამზადებული იქნა: სამასალე ხე-ტყე 54 209 კმმ, შეშა - 3 619 კმმ, რომლის თვითღირებულებამ შეადგინა 6165202 კმმ. საიდანაც ეროვნული სატყეო სააგენტოს ხელშეკრულებით

აყვანილი თანამშრომლების მიერ დამზადებული იქნა, შეშა 8515 კგმ, მასალა - 331,8 კგმ, რომლის დამზადების ხარჯმა შეადგინა 233607 ლარი, რომელიც ანგარიშგებაში ასახულია ფორმა 5-ში, და ფორმა #2-ში, როგორც საკუთარი სახსრებით კაპიტალის შექმნა. 2019 წელს მარაგებში ასახული იქნა სპეციალური ჭრით მოპოვებული გადმოცემული 11507 კგმ შეშა და 486 კგმ მასალა. 2019 წლის განმავლობაში რეალიზებული იქნა სამასალე მერქანი 51308 კგმ, თვითღირებულებით 4275362 ლარი და შეშა 37796 კგმ, თვითღირებულებით 1377850. აქვე განმმარტავთ, რომ 2019 წელს სანიტარული ჭრებით მოპოვებული აუქციონზე რეალიზებულმა დაუბეგრავმა ხე-ტყის რეალიზაციამ შეადგინა 3 661 კგმ, თანხით 730354 ლარი, აღნიშნული თანხა მთლიანად შეტანილია სადეპოზიტო ანგარიშზე და გადარიცხულია ცენტრალურ ბიუჯეტში, ვინაიდან აღნიშნული ხე-ტყის დამზადება გაწეულია საბიუჯეტო სახსრებით. 2019 წლის 01 იანვრისათვის სამასალე მერქანის 11381 კგმ და შეშე მერქნის -10208 კგმ, ნაშთის თვითღირებულება შეადგენს 1556995 ლარს.

N1623 ანგარიშზეა აღრიცხული აგრეთვე სსიპ ველური ბუნების ეროვნული სააგენტოს მზა პროდუქცია (ნერგები), 2019 წლის 01 იანვრისათვის ნაშთი იყო 644289 ლარი.

2019 წელს „სხვა მიღებებით“ მიღებულია 68778 ლარის მზა პროდუქცია (ნერგები).

2019 წელს რეალიზებული იქნა 43909 ლარის თვითღირებულების ნერგი ქოთნებთან ერთად (დანართ 5-ში „გაყიდვით“ გრაფაში), 3129 ლარის ღირებულების ნერგი „გრანტებით“ გადაცემული იქნა სსიპ „ეროვნულ სატყეო სააგენტოზე“, სსიპ „შემოსავლების სამსახურზე“ და „სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურზე“. 7394 ლარის თვითღირებულების ნერგი უსასყიდლოდ გადაცემული იქნა სხვადასხვა მუნიციპალიტეტებზე უსასყიდლოდ (დანართ 5-ში „სხვა ხარჯებით“ გასვლაში). 32512 ლარის ნერგები ჩამოწერილი იქნა საგადასახადო ორგანოს მიერ („საქონელი და მომსახურებით“ გასვლა). 31 დეკემბრისთვის ანგარიშზე დარჩა 626123 ლარი.

დანართ N5-არასაოპერაციო შემოსავლებში/ხარჯებში ასახულია აქტივების აფასება/ჩამოფასება, სსიპ ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოზე განსაკარგავად გადაცემული ქონების ღირებულება,

დანართ N5-ში -სხვა შემოსავლებში და სხვა გასავლებში (28391 ლარი) ასახულია სადაზღვევო კომპანიების მიერ დაზღვეულ ა/მანქანებზე გაწეული ხარჯები. ასევე სხვა დონის სახელმწიფო ერთეულებიდან მიღებული ქონება.

დანართN5-ში აქციები და სხვა კაპიტალის გასვლაში ასახულია შპს საქართველოს მელიორაციაზე კაპიტალის გაზრდის მიზნით გადაცემული ქონება თანხით- 1683 586 ლარი.

დანართN6-ში შემოსავლების ნაწილში სხვა დებიტორულ დავალიანებებში - 1318 ლარი წარმოადგენს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე გარემოს ეროვნული სააგენტოს საცნობარო მუხლში ასახული პირობითი აქტივიდან დებიტორულ მოთხოვნაზე თანხის გადმოტანას; 87 ლარი დებიტორისგან მიღებულ შემოსავალს (სურსათის ერ.სააგენტო);

ხარჯების ნაწილში -8 591 148 ლარი არის შპს საქართველოს მელიორაციის კაპიტალში ცვლილებები, 397726 ლარი არის სახელმწიფო აუდიტის რეკომენდაციის საფუძველზე ყოფილი გარემოს დაცვის სამინისტროს პროექტის-სამცხე-ჯავახეთის ეროვნული პარკის შექმნის ფარგლებში წარმოშობილი დებიტორული დავალიანების ჩამოწერა, 58092 ლარის სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ჩამოწერილი დებიტორული დავალიანება და 281593 ლარი დებიტორული დავალიანების პირობით აქტივად აღიარება; 2 617 351 ლარი სამინისტროს აპარატში ინვენტარიზაციის კომისიის დასკვნის საფუძველზე ჩამოწერილი წინა წლების დებიტორული დავალიანება, 6002 ლარი წარმოადგენს კრედიტორების გადაფასების შედეგად მიღებულ ხარჯს სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსიდან; 2322 ლარი კომერციული ბანკების მიერ არასწორად ჩამოჭრილი თანხების უკან დაბრუნება; 488 დებიტორების ჩამოწერის ხარჯი; ვალუტა და დეპოზიტებში -კურსთა შორის სხვაობები;

სხვა კრედიტორულ დავალიანებების შემოსავლის 8425 ლარი საინკასო დავალებებით ჩამოჭრილი დავალიანება, 3071566 ლარი სამინისტროს აპარატში ინვენტარიზაციის კომისიის დასკვნის საფუძველზე ჩამოწერილი წინა წლების კრედიტორული დავალიანება. და 7800 ლარი ინვენტარიზაციის შედეგად კრედიტორული დავალიანების ჩამოწერა ეროვნული სააგენტოს ბალანსიდან.

სხვა კრედიტორული დავალიანებების შემოსავლის ნაწილში 10201 ლარი ასახულია ბენეფიციარების მიერ კომერციულ ბანკში არასწორად ჩარიცხული თანხების ბიუჯეტში გადატანა ააიპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს ბალანსიდან; 2096 ლარი კურსთა შორის სხვაობა;

12104 ლარი წარმოადგენს კრედიტორების გადაფასების შედეგად მიღებულ შემოსავალს. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსიდან; ფორმა N3-ში 040 გრაფაში შესულია თანხები დანართი N5-დან, რომელზეც დამატებული სამინისტროს აპარატის ბალანსიდან N1432 ანგარიშიდან ჩამოწერილი წინა წლების დებიტორული დავალიანება თანხით - 29890 ლარი, სსიპ სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტოს ბალანსიდან ავანსად გადარიცხული თანხებიდან მომწოდებლის მიერ ბიუჯეტში უკან დაბრუნებული თანხა - 70897 ლარი, სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განთლების ცენტრის ბალანსიდან - 9120 ლარი და სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ბალანსიდან გამოკლებულია ძირითადი აქტივების მოწოდებით წარმოქმნილი დებიტორული და კრედიტორული დავალიანების გადაფასების შედეგად მიღებული შემოსავალი-5275 ლარი.

ფორმა N3-ში 070 გრაფაში დებიტორული დავალიანების ზრდა/კლებაში დამატებულია დონორების ბალანსიდან დანართ N4 -ში ასახული გაცემული სესხების ძირითადი თანხების დაბრუნება ხაზინის სავალუტო და სადეპოზიტო კოდეზზე - 3 713 804 ლარი.

080 გრაფაში კრედიტორული დავალიანების ზრდა/კლებაში დონორების ბალანსიდან გამოკლებულია 40709 ლარი, რომელიც წარმოადგენს წინა წლების დარიცხული ვალდებულებების საკასო ხარჯს და ასახული იყო N3220 ანგარიშზე.

ფორმა N3-ში არაფინანსური აქტივების შესყიდვაში ასახული თანხა 1 277 022 ლარით არ ედრება დანართ N3 საკასო ხარჯს რაც გამოწვეულია შემდეგი გარემოებით:

სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტოს ბალანსიდან - ფორმა N3-ში არაფინანსურ აქტივების შესყიდვებში ასახული თანხა - 5 025 202 ლარი, არ ედრება ხაზინის ამონაწერში მითითებულ თანხას - 6 302 224 ლარს. სხვაობა 1 277 022 ლარის ოდენობით განპირობებულია შემდეგი გარემოებით: სსიპ დაცული ტერიტორიების სააგენტო 31 09 05 კოდზე აღირიცხება KfW-ს მიერ გრანტის სახით გამოყოფილი თანხები და გრანტის თანხებთან დაკავშირებული თანადაფინანსების თანხები (გადასახადების თანხები). საგრანტო ხელშეკრულების შესაბამისად, პროექტის განმახორციელებელი არის GFA Consulting Group GMBH, რომელსაც თავის მხრივ ჰყავს საქართველოში თავისი წარმომადგენლობა - Representation of GFA Consulting Group in Georgia. მოდიებული ინფორმაციებით GFA Consulting Group საქართველოს წარმომადგენლობას საქართველოში მიმდინარე წელს თანხა ჩამოერიცხა

„არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლით. ვინაიდან სააგენტო ახორციელებს წარმომადგენლობის მიერ წარმოდგენილი საბუთების საფუძველზე გადასახადების გადარიცხვას (დღგ და ა.შ.) და სააგენტოს მიერ ეს თანხები მათი შინაარსიდან გამომდინარე გადახდილ იქნა საქონელი და მომსახურების მუხლიდან, შესაბამისად, ამ თანხების ე.წ. ძირი თანხებიც - 468 651 ლარი, რომელიც გადარიცხულ იქნა GFA Consulting Group საქართველოს წარმომადგენლობის მიერ, აღირიცხა საქონელი და მომსახურების მუხლში და აღიარდა ხარჯებში, მცირეფასიან აქტივებში და მარაგებში. გარდა ამისა, მოძიებული ინფორმაციით დადგინდა, რომ უშუალოდ GFA Consulting Group GMBH-ზე გადარიცხული თანხებიდან ხაზინის ამონაწერში „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში აისახა 760 749 ლარი, რომელიც ასევე მათი შინაარსიდან გამომდინარე სააგენტოს მიერ აღიარდა ხარჯებში. ამასთან, სახელმწიფო აუდიტის მიერ გაცემული რეკომენდაციის საფუძველზე გასწორებულ იქნა შეცდომაც, რომელიც ასევე არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლიდან გადაირიცხა 47 572 ლარი (სახელმწიფო ბიუჯეტის თანადაფინანსებიდან - 7 257 ლარი, ხოლო მესამე პირის გადახდებიდან - 40 315 ლარი) და მიწის რეგისტრაციის საფასური (საკუთარი შემოსავლებიდან) 50 ლარის ოდენობით.

ფორმა N3-ში ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება -232 248 ლარით არ ედრება ფულადი სახსრების საწყის და საბოლოო ნაშთებს შორის სხვაობას, აღნიშნული თანხიდან 202 382 ლარი წარმოადგენს გადახდილ დღგ-ს, რომელიც არ აისახა დანართ N5-ში, ხოლო 29867 ლარი სსიპ ღვინის ეროვნული სააგენტოს ბალანსიდან 2018 წელს დარიცხული მოგების გადასახადის ოდენობის შემცირებით.

ფორმა N4-ში თანხები არასაოპერაციო ხარჯების შემოსავლების/ხარჯების ნაწილში ასახულია დანართი N5-ში აქტივების აფასების/ჩამოფასების შედეგად მიღებული თანხები, დანართი N6 კურსთა შორის სხვაობით მიღებული შემოსავალი და ზარალი. ასევე სხვა დებიტორული და კრედიტორული დავალიანებების თანხები და აქციები და სხვა კაპიტალის თანხები.

ბიუჯეტის წინაშე დარიცხულ ვალდებულებებში ასახულია:

- წინა წლების სესხის თანხის დაბრუნება ბიუჯეტში 23 977 481 ლარი;
- 2018 წლის ბიუჯეტში დასაბრუნებელი მივლინების თანხა - 1535 ლარი

- გაფუჭებული ვაქცინის ღირებულება, რაც დაბრუნებული უნდა ყოფილიყო 2018 წლის ბიუჯეტში - 576 ლარი
- გრანტის სახით შოთა რუსთაველის ფონდზე გაცემული თანხა, დაბრუნებული უნდა ყოფილიყო 2018 წლის ბიუჯეტში - 8176 ლარი
- ადმინისტრაციული სამართალდარღვევით გამოწერილი ჯარიმები - 1915200 ლარი
- 27826 ლარი
- სანქციები და ჯარიმების გადახდები ბიუჯეტში 140 349 ლარი
- ავანსის თანხის ბიუჯეტში დაბრუნება 71 899 ლარი
- წინა წლების ზედმეტად გადახდილი ხელფასის უკან დაბრუნება 337 ლარი
- გარემოზე ზემოქმედების ნებართვის მოსაკრებლის გადახდა ბიუჯეტში - 58 844 ლარი.

2018 წლის საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ჩატარებული სახელმწიფო აუდიტის ანგარიშში აღნიშნულია რომ სამინისტრომ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში უნდა ასახოს ააიპ საქ. დაცულის ტერიტორიების განვითარების ფონდის (ერთობლის საწარმოში) ფლობილი ინვესტიციები.

ფონდის მიერ გადმოგზავნილ 2019 წლის წლიურ ფინანსურ ანგარიშგებაში ინვესტიციები არ ირიცხება. მათი ზეპირი განმარტებითაც ისინი ინვესტიციებს არ ფლობენ.

კონსულტაციების შედეგად დავადგინეთ, რომ აღნიშნული საკითხი განხილულ უნდა იქნეს არა კონსოლიდაციის სტანდარტის მიხედვით, არამედ სხვა სტანდარტების დონეზე როგორც არის სსბასს 36 - ინვესტიციები მეკავშირე ერთეულებსა და ერთობლივ საქმიანობებში; სსბასს 37 - ერთობლივი შეთანხმებები, რომლებიც ძალაში შედის 2020 წლიდან. აქედან გამომდინარე ფონდის ანგარიშგება რა სახით აისახება 2020 წლის კონსოლიდირებულ ანგარიშგებაში შემდგომი მსჯელობის საკითხია.

სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ინფორმაციით 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მიერ გაცემული ყველა რეკომენდაცია შესრულდა 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. მათ შორის:

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია N2 - იმისათვის, რომ სააგენტოს ჰქონდეს სრული და ზუსტი ინფორმაცია ფაქტობრივად არსებული

აქტივების ბუღალტრულ მონაცემებთან თანხვედრის შესახებ, მნიშვნელოვანია სამეურნეო ოპერაციების სრულად, დროულად და ზუსტად ასახვა შესაბამისი პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში. ასევე საინვენტარიზაციო კომისიამ უნდა უზრუნველყოს საწყობიდან გაცემული და ექსპლუატაციაში მყოფი აქტივების იდენტიფიცირება და ხარჯად ჩამოწერა გაცნობებით, რომ ჩამოწერი კომისიის მიერ მოხდა სააგენტოს ბალანსზე რიცხული ძალადაკარგული ფულადი დოკუმენტაციის ხარჯად ჩამოწერა/განადგურება

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია N3 - იმისათვის, რომ სააგენტოს ფინანსური ანგარიშგება უტყუარად ასახავდეს ძირითადი აქტივების ღირებულების შესახებ ინფორმაციას, რეკომენდებულია შეფასდეს ის აქტივები, რომელთა ისტორიული ღირებულების შესახებ ინფორმაცია პირველად დოკუმენტაციაში არ არის მითითებული. ასევე ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის მიზნით, აუცილებელია საინვენტარიზაციო კომისიამ შეისწავლოს სააგენტოს ბალანსზე რიცხული ძირითადი აქტივების არსებობისა და საკუთრების უფლების საკითხები, რის შემდეგაც შესაძლებელი გახდება პრობლემური ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება და შესაბამისი ქმედებების განხორციელება გაცნობებით, რომ კომისიის მიერ დადგინდა და მოხდა პრობლემური ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება, რაც რეკლასიფიცირდა როგორც სააგენტოს არასაცხოვრებელი შენობების ნაწილი.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია N6 - იმისათვის, რომ სააგენტოს ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად და გამჭვირვალედ იყოს წარმოდგენილი, მნიშვნელოვანია, სააგენტომ შეიმუშაოს და დანერგოს ფინანსური ანგარიშგების მომზადებასთან დაკავშირებული ისეთი კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს არსებითი შეცდომების დროულ აღმოჩენასა და შესწორებას, ასევე ბალანსის შემდგომი მაკორექტირებელი მოვლენების ფინანსურ ანგარიშგებაში სწორად ასახვას გაცნობებით, რომ მოხდა 489977 ლარის ღირებულების ძირითადი აქტივების ასახვა 2019 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში. მიზნობრივი გრანტების აღიარება მოხდა მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაცია N9 - ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის და კანონმდებლობის მოთხოვნათა შესრულების მიზნით, აუცილებელია სააგენტომ ძირითად აქტივებზე

ფიზიკური ცვეთის დარიცხვა აწარმოოს მოქმედი ინსტრუქციით განსაზღვრული ნორმების და მოთხოვნების შესაბამისად გაცნობებთ, რომ 2019 წლის ცვეთა დარიცხული იქნა მიღებული რეკომენდაციის შესაბამისად ნაერთ ფინანსურ ანგარიშგებაში ელიმინირებას დაექვემდებარა შემდეგი თანხები:

N1626 ანგარიში - 210 ლარი; N1627 ანგარიში -299786 ლარი; N2220 ანგარიში - 3761 ლარი; N2210 ანგარიში -10364 ლარი; N2112 ანგარიში - 127613 ლარი; N2121 ანგარიში- 1 759 005 ლარი;

N2122 ანგარიში -4134316 ლარი ; N2132 ანგარიში - 43700 ლარი;

N6000-შემოსავალი -6 378 755+13327 (მომსახურების) ლარი და N7000-ხარჯები-6 378 755 +13327 (მომსახურების) ლარი.

კონსოლიდირებული ერთეულები

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს აპარატი

სსიპ – სურსათის ეროვნული სააგენტო

სსიპ – სოფლის მეურნეობის სამეცნიერო კვლევითი ცენტრი

სსიპ – ღვინის ეროვნული სააგენტო

სსიპ – სოფლის მეურნეობის სახელმწიფო ლაბორატორია

სსიპ – სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების განვითარების სააგენტო

ა(ა)იპ – სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტო

სსიპ – ველური ბუნების ეროვნული სააგენტო

სსიპ – გარემოსდაცვითი ინფორმაციის და განათლების ცენტრი

სსიპ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტი

სსიპ – ეროვნული სატყეო სააგენტო;

სსიპ – დაცული ტერიტორიების სააგენტო

სსიპ – გარემოს ეროვნული სააგენტო

სსიპ – ბირთვული და რადიაციული უსაფრთხოების სააგენტო

ირიგაციისა და დრენაჟის სისტემების გაუმჯობესება (WB), სოფლის მეურნეობის მოდერნიზაციის, ბაზარზე წვდომისა და მდგრადობის პროექტი (GEF, IFAD).

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38